ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 ოქტომბერი, 2019

№249 (8203)

ფასი: 60 თეთრი

**გურამიშვილზე 16-სართულიან კორპუსში, სოსო ჯავახიშვილის ბინაში, აფეთქება მოხდა**

გვ.5

„მარტო ცხოვრობდა. მამასთან დაურეკავს და უთქვამს, დედაჩემი გამოგზავნე, ცოტა დამწვარი ვარო“



**16 ოქტომბრიდან**

გიორგი კოკოშაშვილი

**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი




# „გახარიას კაბინეტში ერთგული მინისტრები არ სჭირდება“



გვ.4

„თუ ივანიშვილმა მისი მოხსნა გადაწყვიტა, სულ ნათესავებით რომ ჰქონდეს კაბინეტი გავსებული, ისინი ვერაფერს უშველიან“



გვ.4



## გოგი წულაია: „ლაშა ნაცვლიშვილს პროკურატურაში ახლა არავინ დაიბარებს, მაგრამ მალე ყველას ყველაფერი მოეკითხება“




## გუბაზ სანიკიძე: „ბიძინა მიშას შექმნილ სისტემურ სიკეთეებს ანგრევს“

გვ.3

„განვავითაროთ 80%, რომ დავიბრუნოთ 20%“



## თინა ხიდაშელი: „თუ 2020-ში გარღვევა არ მოხდა, აღმოსავლური ტიპის დესპოტურ ქვეყნად ვიქცევით“

გვ.3

სასამართლოს გადაწყვეტილება – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საშიში პრეცედენტი?

ISSN 1987-9385

2 ვახტანგ გომელაური: „ესკალაციის საფრთხე არ არსებობს. ვითარება კონტროლს სრულად ექვემდებარება“

6 ლონდონში ნაზარბაევის შვილიშვილმა პოლიციელს თითზე უკბინა

5 ნინოწმინდაში მწყემსს მეხი დაეცა და მოკლა

6 ერდოღანი: „ტერორისტებს თავებს გავუსრესთ“

# გიორგი გაბუნია: „პროკურატურას ნიკა გვარამიას დაპატიმრება უნდა“



19 ოქტომბერს გადაცემა „პოსტ ფაქტუმის“ წამყვანი გიორგი გაბუნია მთავარ პროკურატურაში გამოიკითხა.

– იმის მცდელობაა, რომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის დაპატიმრება მოხდეს, – თქვა მან გამოკითხვის შემდეგ.

გაბუნიამ ხელი მოაწერა გაუთქმელობის შეთანხმებას და დეტალებზე ვერ ისაუბრა, თუმცა აღნიშნა, რომ გამოძიების მიზანი „მთავარი არხისთვის“ ხელის შეშლაა.

– იდენტური საქმეა, რაც ჩემი კოლეგების შემთხვევაში იყო და, ბუნებრივია, ხელი მომაწერინეს გაუთქმელობაზე. პირველ რიგში, არის იმის მცდელობა, რომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის დაპატიმრება მოხდეს. შთაბეჭდილება მრჩება, რომ არ გამოუვათ, მაგრამ გამოკითხვები ბოლომდე უნდა მიიყვანონ. რომ გითხრათ, რომ ჩემ მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ რაიმე რადიკალური ცვლილება შეიტანოს ამ საქმეში, ნამდვილად არა. გვარამიას დაჭერა რომც ვერ მოხერხდეს, „მთავარი არხისთვის“ ხელის შეშლაა გამოძიების მიზანი. ვინაიდან ვამბობ, რომ ნიკა გვარამიას დაჭერისკენ მიჰყავთ ეს საქმე, ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გვარამიას ეხებოდა შეკითხვები. ვერ გეტყვით, რაზე დაგვისვეს შეკითხვები, საქმე ეხება სხვადასხვა თანხებს“, – განაცხადა გაბუნიამ.

კომენტარი გიორგი გაბუნიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმაც გააკეთა.

– გიორგი გაბუნიასთან კითხვები ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოვალეობას ასრულებდა, აგრეთვე ანაზღაურებას იღებდა თუ არა გაწეულ შრომაში, – თქვა მან.

ადვოკატის თქმით, პროკურატურას კითხვები ჰქონდა პრემიებთან დაკავშირებითაც.

– გიორგი გაბუნია დაიკითხა ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე საქმეზე. ზოგადი ხასიათის კითხვებით იყო გამოძიება შემოფარგლული, განსაკუთრებული არაფერი. გაბუნიამ პასუხები გასცა, – აღნიშნა საძაგლიშვილმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, დაიბარებენ თუ არა გაბუნიას განმეორებით გამოკითხვაზე, ადვოკატმა უპასუხა, რომ ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

– მე ვერანაირ საჭიროებას ვერ ვხედავ, მათ შორის, ვერც დღეს დაბარების, თუმცა მომავალში ვინ იქნება გამოკითხული ან გაბუნია განმეორებით იქნება თუ არა გამოკითხული, ჩემთვის უცნობია, – განაცხადა ადვოკატმა საძაგლიშვილმა.

პროკურატურის ინფორმაციით, გიორგი გაბუნია გამოკითხვაზე ,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისებისა და ქონების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით გადამალვის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში იყო დაბარებული.

# „ნუ მივცემთ საშუალებას დღევანდელ არარაობა ხელისუფლებას, დაგვაშინოს!“

## მალხაზ მაჩალიკაშვილი თელავში სიტყვით გამოვიდა




– ნუ მივცემთ საშუალებას, რომ დაგვაშინოს დღევანდელმა არარაობა ხელისუფლებამ, პოლიციამ, უშიშროებამ, სუს-მა თუ მაღალჩინოსნებმა.

ამის შესახებ მალხაზ მაჩალიკაშვილმა გუშინ, 20 ოქტომბერს, თელავში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა. მან შეკრებილებს მიმართა, ყველა ერთ მხარეს დადგეს.

– მოგესალმებით, შეიძლება ითქვას ჩემი რაიონიდან, მხარიდან, ჩემთვის ძალიან საყვარელი და ტკბილი ადგილიდან. მინდა, თელავს მივმართო, ნუ შეგვეშინდება დღევანდელი ხელისუფლების, დღევანდელი უშიშროების, სუს-ის.

ისინი ყველანაირ შესაძლებლობას იყენებენ, რომ აქ ხალხი არ მოვიდეს და რამენაირად დააშინონ. დღევანდელ უმაქნის და არარაობა ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენია, მარტო ის, რომ შეაშინოს ხალხი და ხალხი არ გამოვიდეს, იფიქრონ, რომ ხალხი არ გამოდის და ხალხი კმაყოფილია. კმაყოფილი დღეს საქართველოში არავინ არ არის, არის ის 10-12 პროცენტი, რომლებიც ხელისუფლებაში სხედან, ჭამენ და ყლეფენ ქვეყნის ბიუჯეტს და ადამიანების ფულს.

მოგმართავთ ყველას, დიდ პატივს გცემთ, ნუ მივცემთ საშუალებას, რომ დაგვაშინოს დღევანდელმა არარაობა ხელისუფლებამ, პოლიციამ, უშიშროებამ, სუს-მა თუ მაღალჩინოსნებმა. თქვას ყველამ თავისი სიტყვა და გავაცილოთ ეს სისხლიანი რეჟიმი 2020 წლამდე თუ არა, 2020 წელს.

ყველა ერთად შევიკრათ ერთ მუშტად და დავდგეთ ყველა ერთ მხარეს, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

# ატოცელი თინა ბირთველიშვილი: „აქედან წასვლას არავინ ვაპირებთ“




– სოფელში რეალურად სხვა ვითარებაა. ჩავრთავთ ტელევიზორს და ისეთ განცხადებებს ვისმენთ, თითქოს ატოცზე კი არა, სხვა ადგილზეა ლაპარაკი.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ატოცის მცხოვრებმა თინა ბირთველიშვილმა განუცხადა.

სოფლის მოსახლეობის განცხადებით, საოკუპაციო ხაზთან ცხოვრება საკმაოდ რთულია, თუმცა იმის საფრთხეს ვერ ხედავენ, რომ სოფლიდან სადმე წასვლაზე იფიქრონ.

– ძალიან ცუდია, რომ ორ ნაბიჯში ოკუპირებული ტერიტორია და მიწის ნაკვეთებსა და მინდვრებზე სრულყოფილად წვდომა აღარ გვაქვს და 2008 წლის შემდეგ ასეთ პირობებში გვიწევს ცხოვრება.

არ ვფიქრობთ, რომ სოფელში ვინმე შემოვა და რამე საფრთხე დაგვემუქრება. ასეთი სიტუაცია წლებია, გრძელდება. ხან მწყემსს დააკავებენ, ხან შეღობვას გააგრძელებენ, მაგრამ რეალურად იმ ტერიტორიაზე, სადაც მავთულხლართები გააკეთეს, ვეღარ ვმოძრაობდით.

ახლა ჩვენმა თანასოფლელებმა იმ ნაკვეთების დამუშავებაც დაიწყეს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება. სოფელში ძირითადი შემოსავალი მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანაა. აქედან წასვლას კი არავინ აპირებს, – განუცხადა ინტერპრესნიუსს თინა ბირთველიშვილმა.

ქარელის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის თქმით, პოლიციის დახმარებით ის მაცხოვრებლები, რომელთა ნაკვეთები გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარეობს, მიწის დამუშავებას და შემდგომ მოსავლის აღებასაც უსაფრთხოდ შეძლებენ.

– პოლიცია განსაკუთრებულად გვეხმარება. ნებისმიერ მოსახლეს, როდესაც ბაღში სამუშაოები აქვს შესასრულებელი, ვთქვათ, ტექნიკა უნდა შეიყვანოს და მოხნას, ჩვენი სამართალდამცავები ყოველთვის ეხმარებიან და მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. მიწის დამუშავების გარდა, იგივე ხდება მოსავლის აღებისასაც.

პოლიცია ყოველთვის აქ არის და უზრუნველყოფს, რომ უსაფრთხოდ შეძლონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და მოსავლის დაბინავება, – განაცხადა ქარელის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა მარინა გულისაშვილმა.

# „თქვენი ქმედება საქართველოს სახელზე ახდენს გავლენას“

## პატრიარქმა აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს მიმართა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს მიმართავს.

როგორც პატრიარქის წერილშია აღნიშნული, ტაძრები, საკვირაო სკოლები და შემოქმედებითი ცენტრები, რომლებიც დღეს ამერიკაში ფუნქციონირებს, მიუთითებს იმაზე, რომ ემიგრანტები მშობლიურ ღირებულებებს ინარჩუნებენ.

გარდა ამისა, ილია მეორე ამერიკის მთავრობას აშშ-ში მცხოვრები ქართველების თანადგომისთვის მადლობას უხდის.

„გულითადად მოგესალმებით და გლოცავთ. თქვენ, ისევე როგორც გაჭირვების, ან სხვა მიზეზის გამო საზღვარგარეთ წასული სხვა თანამემამულენი, ჩვენი ტკივილი ხართ და, ამასთან, იმედიც იმისა, რომ მატერიალური პრობლემის დაძლევის გარდა, შეძლებთ უმთავრესს, ღვთის სიყვარულისა და ქართული სულის შენარჩუნებას.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით მეუფე საბა (ინწკირველს), ასევე, სასულიერო პირებს და, საერთოდ ყველას, ვინც კი დღიდან საქართველოს ეკლესიის აქ დაარსებისა, იშრომა და იმუშაკა ღვთისა და მოყვასის სამსახურად.

მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის ხელისუფლებასა და იმ პიროვნებებს, რომლებმაც უსამშობლოდ ყოფნა შეგიმსუბუქათ და თანადგომა გაგიწიათ“, – აღნიშნავს კათოლიკოს-პატრიარქი ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტებისადმი მიწერილ წერილში.

იქვე პატრიარქი ემიგრანტებს მოუწოდებს, განსაცდელს არ შეუშინდნენ.

„დღეს რთული დროა, გაჭირდა სიმართლის გზაზე სვლა, მაგრამ არ შეუშინდეთ განსაცდელს; მთავარია, სწორი პასუხი გასცეთ გამოწვევებს. თქვენ ხართ სახე ჩვენი ქვეყნისა. ამიტომაც, თქვენი კარგი, თუ ცუდი ქმედება საქართველოს სახელზე ახდენს გავლენას. არა აქვს მნიშვნელობა, რა თანამდებობაზე ხარ, ან რა მოვალეობა გაკისრიათ; ვისურვებდი თქვენი ღირსეული ცხოვრებით ყოფილიყავით სამშობლოს წარმომჩენნი და დამფასებელნი,“ – აღნიშნულია პატრიარქის წერილში.

# სალომე ზურაბიშვილი ტოკიოში იმპერატორ ნარუჰიტოს ტახტზე ასვლას დაესწრება



საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მსოფლიო ლიდერებთან და იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ტოკიოში იაპონიის იმპერატორის, მისი უმაღლესობა ნარუჰიტოს ტახტზე ასვლის ცერემონიას დაესწრება.

საქართველოს პრეზიდენტს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი აქვს შეხვედრები როგორც იაპონიის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან, ასევე ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან.

საქართველოს პრეზიდენტი ტოკიოში კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროებში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით იაპონიის ტურიზმისა და ღვინის სექტორების წარმომადგენლებს, ასევე, კულტურის სასახლის პრეზიდენტსა და მედიაჰოლდინგ „ფუჯის“ აღმასრულებელ დირექტორს, იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტსა და 2020 წელს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საპატიო პრეზიდენტს შეხვდება.

პრეზიდენტი ტოკიოში რამდენიმე მუზეუმს დაათვალიერებს, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების მუზეუმს, ციფრულ მუზეუმსა და მირაიკანის მუზეუმს.

ამასთან, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში სალომე ზურაბიშვილი იაპონიაში ქართულ დიასპორასა და ქართველ სპორტსმენ ლევან გორგაძე-ტოჩინოშინს შეხვდება.

საქართველოს პრეზიდენტი იაპონიაში სამუშაო ვიზიტს 25 ოქტომბერს დაასრულებს.

# გიული ალასანია „მთავარი არხის“ მეწილე გახდა



„მთავარი არხის“ მეწილე შპს საქართველოს უნივერსიტეტი გახდა. ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ იუწყება.

როგორც საჯარო რეესტრის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, შპს საქართველოს უნივერსიტეტი ტელეკომპანიის 2%-ანი წილის მფლობელი გახდა, თავის მხრივ კი საქართველოს უნივერსიტეტის 37,5%-ანი წილის მფლობელი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, დედა, გიული ალასანიაა, 12,5%-ის – ნიკოლოზ ალასანია, ხოლო 50%-ის – მანანა სანაძე.

ამჟამად „მთავარი არხის“ წილები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- 51% – ნიკა გვარამია;
- 42% – კახაბერ ანჯაფარიძე;
- 2,5% – გიორგი რურუა;
- 2,5% – მარი ანა რურუა;
- 2% – შპს საქართველოს უნივერსიტეტი.

# ვახტანგ გომელაური: „ესკალაციის საფრთხე არ არსებობს. ვითარება კონტროლს სრულად ექვემდებარება“

– რუსული მხარე ჩორჩანის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო ქმედებებს განაგრძობს. ერთი თვის წინ დაამონტაჟეს რკინის ბოძები, რაზეც დღეს ცხაურების გაკვრა დაიწყეს.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ჟურნალისტებთან პარლამენტში ნდობის ჯგუფის სხდომის დასრულების შემდეგ ისაუბრა. მისივე თქმით, ესკალაციის საფრთხე არ არსებობს და ვითარება სრულად ექვემდებარება კონტროლს.

ვახტანგ გომელაურის ინფორმაციითვე, ოკუპანტების მიერ უკანონო ბორდერიზაციის პროცესის განახლებისთანავე ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ამასთანავე, ამოქმედდა ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ყველა შესაბამისი უწყება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გუბაზ სანიკიძე: „ბიძინა მიშას შექმნილ სისტემურ სიკეთეებს ანგრევს“

## „განვავითაროთ 80%, რომ დავიბრუნოთ 20%“

იაგო ნაცვლიშვილი

**რაში ხედავს ქვეყანაში არსებული კრიზისიდან გამოსავალს? რა რეფორმებია ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და როგორ ხედავს ქვეყნის ტერიტორიული პრობლემების მოგვარების გზებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე პასუხობს.**

**გუბაზ სანიკიძე:**

– ნელ-ნელა დაიწყება რუსეთისკენ სვლა, ეს არის ფაქტი. ეს ხელისუფლება არის აბსოლუტურად დისკრედიტებული და განადგურებული. როგორც მორალურად, ისე ეკონომიკურად და ყველანაირად სრული კრახი აქვს. ბიძინა ივანიშვილი ანტიგმირია. ის ქვეყნის ნომერ პირველი ანტიგმირია, ამიტომ მივიღეთ ეს ვითარება.

უმძიმესი ვითარებაა ჩვენს სამეზობლოში. მეზობელი თურქეთი ოფიციალურად შევიდა ჯარით სირიაში. ჩვენი პოზიცია რა არის? არავინ იცის. თურქეთის მხარე უნდა დავიჭიროთ ოფიციალურად თუ რა? სირიამ ცნო აფხაზეთი და ცხინვალი, ამიტომ ასე მოვიქცეთ სჯობს თუ პირიქით უნდა მოვიქცეთ? რა უნდა ვქნათ? თქვენ ვინმეს ხედავთ ამ ხელისუფლებაში, რომელიც ამ თემებზე ან საუბრობდეს, ან უნარი ჰქონდეს?

არავინ არის! ყველაზე აზრზე მოსული ამ ხელისუფლებას ჰყავს ვოლსკი, მაგრამ, საერთო ჯამში, არ არის მცოდნე ამ საკითხებში. ვოლსკი მუშაობდა ნიუ იორკში. არ ჰყავთ სპეციალისტი, რომელიც ამ თემებზე ილაპარაკებს ან მათ რჩევას მისცემს, ამიტომ ეს ხელისუფლება ჩამოკიდებულია ჰაერში.

***– თქვენ, როგორც ამ საკითხებში კომპეტენტური, ხელისუფლებაში რომ იყოთ, რა პოზიციას დაიკავებდით?***

– არა, ამაზე მე არ ვილაპარაკებ. საქართველო ახლა ინერტულია, სინამდვილეში კი ჰიპერაქტიური დიპლომატია უნდა ჰქონდეს. ეს, შესაძლოა, მომგებიანი აღმოჩნდეს ჩვენთვის. ჰიპერაქტიური დიპლომატია გვინდა, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა უნდა იცოდეს ზუსტად, რა უნდა ხელისუფლებას. ხელისუფლებას დავანებოთ თავი, ბიძინა ივანიშვილმა იცის, რა უნდა ქვეყანას? ვინმემ ამ ქვეყანაში იცის, ბიძინა ივანიშვილს რა უნდა?! რას ფიქრობს?

ახლა გამორიცხვის მეთოდებით ვიმსჯელოთ. ქვეყანაზე რომ არ ფიქრობს, ცხადია. ეკონომიკასა და ტერიტორიების დაბრუნებაზე რომ არ ფიქრობს, ცხადია. პირიქით არის ყველაფერი. სააკაშვილის შექმნილ სისტემურ სიკეთეებს ანგრევს. კორუფციამ უკვე ქვემოდან დაიწყო ამოზრდა. ყველაზე სახიფათოა, როდესაც კორუფცია ქვემოდან ამოდის, ანუ სრულად არის ამოზრდილი. დაუკვირდით, ბოლო პერიოდში ტენდერები არსად აღარ ტარდება.

***– რატომ?***

– ნათესავებით მართავენ ქვეყანას. სიძეებით, მამიდებით, მამიდების ბიძაშვილებით... არნახული ნეპოტიზმია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიისთვის, თუ გამოვრიცხავთ მეოცე საუკუნის ისლამურ ქვეყნებს.

ძალიან სერიოზული შეკითხვებია ამ კაცის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ბევრი ადამიანი მეკითხება ამას და ალბათ თქვენც გეკითხებიან. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვართ! უფსკრულის პირას დავდივართ ცალი ფეხით.

***– ამ ფონზე ოპოზიციის კინკლაობა რამდენად კარგი პროცესია და ქვეყნის საქმე ხომ არ ზიანდება?***

– არაფერი. ყველაფერი დამშვიდდება და დაწყნარდება. ახლა მღვრიე წყალია და გაიწმინდება. მე, პირადად, მომხრე ვარ, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანება შედგეს. ეს არის ბუნებრივი, გამოცდილი, მამაპაპური მეთოდი – ყველა ერთის წინააღმდეგ. 3000 წელია, ამართლებს.

***– თუმცა შემდეგ იქმნება ხოლმე კრიზისები.***

– 2020 წლის არჩევნები მოსაგებია, მორჩა და გათავდა. 2020-ში ბიძინა ივანიშვილი უნდა ჩაეხსნას ქართულ პოლიტიკას.

***– არჩევნების შემდეგ რა ხდება? აქ ჩნდება კითხვები.***

– ყველაფერი ცხადია. საპარლამენტო მოდელია და ორი რამეა გასაკეთებელი. ორი დიდი რეფორმაა გასატარებელი. ორი ვადა სჭირდება, ანუ 8 წელი. მერე ერთი კი არა, ათი ბიძინა რომ მოვიდეს, ვეღარაფერს უზამს.

***– რა არის ეს?***

– ორი დიდი რეფორმაა გასატარებელი – ეს არის სასამართლო რეფორმა და თვითმმართველობა. როცა ეს გაკეთდება, ქვეყანა დაიწყებს



განვითარებას, თან ძალიან სწრაფს.

ჩემი ფორმულა ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით არის ის, რომ განვავითაროთ 80 პროცენტი, რომ დავიბრუნოთ 20 პროცენტი. დიდი ქართველი მეფეები სულ ასე აკეთებდნენ – იწყებდნენ რაღაცა ნაწილის განვითარებას. ჩვენც უნდა დავიწყოთ იმ ნაწილის განვითარება, რომელიც კონტროლდება ჩვენ მიერ. განვავითაროთ ეს, აფხაზეთი, ცხინვალი და ჩრდილოეთ კავკასია თვითონ მოვა ჩვენთან. ამას სჭირდება 5-6 წელი.

ბევრი თემაა, მაგრამ ორი რამეა გასაკეთებელი – 2020-ია მოსაგები, ანუ ბიძინა უნდა ჩამოშორდეს ხელისუფლებას და შემდეგმა პარლამენტმა ორი დიდი რეფორმა უნდა გაატაროს – სასამართლო და თვითმმართველობა.

2020-ის შემდეგ, რა თქმა უნდა, კოალიციური მთავრობა იქნება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის კოალიციური მთავრობა იქნება პროდასავლური და განახორციელებს ამ ორ დიდ რეფორმას. ამის ხელის შემშლელი დღეს საქართველოში არავინ არის.

ეს დაიწყო სააკაშვილმა, მაგრამ მერე, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ველარ განახორციელა. განსაკუთრებით ბოლო ორი წელი ის ხელისუფლება სრულად პარალიზებული იყო და რეფორმებიც შეჩერდა. უნდა მობრუნდეს რეფორმების დრო. საქართველოს სჭირდება ორი დიდი რეფორმა.

***– დიდი დისკუსიაა ოპოზიციაში იმაზე, უნდა წავიდეს თუ არა ივანიშვილი ციხეში. თქვენი პოზიცია როგორია?***

– არ უნდა წავიდეს ციხეში, მაგრამ შემდეგ გარკვეულწილად მოუწევს პასუხისმგებლობა. ხომ არის ცამდე მართალი და ჩვენ ხომ ვართ მტყუანები, რისი ეშინია? თვითონ ამტკიცებს, ცამდე მართალი ვარო.

***– მარგველაშვილს უხსნიან სახელმწიფო დაცვას, თან იმ პირობებში, როდესაც ის იყო როგორც პრეზიდენტი, ისე ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი და მიუწვდებოდა ხელი უშიშროების თემებზე, მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ინფორმაციაზეც. ამით აყენებენ თუ არა ქვეყანას პოტენციურად რისკის წინაშე?***

– ეს არის, უბრალოდ, სირცხვილი და სრული გაუგებრობა. ქვეყანას მართავენ მდიდარი ადამიანები, თანაც საკმაოდ შეზღუდული განათლების მქონე პირები. ესენი არ არიან არც ზუბალაშვილები და არც სხვები.

რუსეთის იმპერიაში იყო ძალიან მაღალი დონის ბიზნესი. ესენი მაინც „წითელი დირექტორები“ არიან. მათი აზროვნება არ არის ღია, გამჭვირვალე, პროგრესისა და ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული. არ არის ამათი პოლიტიკა სოციალურ ლიფტებზე. რა იციან მათ ეს?! 41 მილიონერი თუ რამდენია, ხომ იცნობთ, ჰკითხეთ, რას ნიშნავს სოციალური ლიფტი?

***– ტელეფონს არ პასუხობენ და ჟურნალისტებთან არ ჩერდებიან, როგორ უნდა ვკითხოთ ეს ან სხვა რამე?!***

– რომ უპასუხონ, მთლად უარესია. სჯობს, არ უპასუხონ, ასე უკეთესია ქვეყნისთვისაც, მათთვისაც და ჟურნალისტებისთვისაც.

გამოსავალი არის ის, რაზეც უკვე ვისაუბრე – ბიძინა ჩაეხსნას ხელისუფლებას და გატარდეს ორი დიდი რეფორმა: სასამართლო და თვითმმართველობა. ყველაფერი დაწერილი და გამზადებულია.

***– მთავარია, ბოლომდე მივიდეს, თორემ ამას ხელისუფლებები სულ გვპირდებოდნენ საზოგადოებას.***

– მივა, დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი გაკვეთილია ჩვენს ისტორიაში.

# თინა ხიდაშელი: „თუ 2020-ში გარღვევა არ მოხდა, აღმოსავლური ტიპის დესპოტურ ქვეყნად ვიქცევით“

## სასამართლოს გადაწყვეტილება – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საშიში პრეცედენტი?

იაგო ნაცვლიშვილი



თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებით, შესაძლოა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება რისკის ქვეშ დადგეს. საქმე ეხება „ფეისბუქის“ დახურულ ჯგუფში სტუდენტ ბუბა ნაჭყებიას მიერ ლექტორ გიორგი გორაშვილის მიმართ გინების საქმეს.

ამაზე, „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, საქმე წარიმართა 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით, რომლის თანახმად: „წვრილმანი ხულიგნობა არის საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს“. დანაშაული ისჯება 500-დან 1000 ლარამდე ჯარიმით ან 15 დღემდე პატიმრობით.

მოსამართლე ნათია მერაბიშვილს მიაჩნია, რომ 1984 წელს მიღებული კანონი ევოლუციურად უნდა განიმარტოს და საზოგადოების თავშეყრის ადგილად შეიძლება ჩაითვალოს სოციალური ქსელი. მერაბიშვილის განმარტებით, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გარკვეული პოსტების გაზიარება სხვა ადამიანებისთვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში: „კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯარო გავრცელებად უნდა შეფასდეს“.

მოსამართლის გადაწყვეტილებას ბუბა ნაჭყებიას ადვოკატი ზემდგომ ინსტანციაში ასაჩივრებს.

არის თუ არა ეს საქმე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრეცედენტი, არის თუ არა ცოტა ხნის წინ ამ თემაზე „ქართული ოცნების“ მიერ წამოწყებული დისკუსია და ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, იურისტი თინა ხიდაშელი საუბრობს.

– ამ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით იხელმძღვანელა. როდესაც მოსამართლე საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებით ხელმძღვანელობს და ეს გადააქვს სოციალურ ქსელებზეც, ეს ზღუდავს თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას?

– რა თქმა უნდა. ამაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია, რომ ამას ზღუდავს. რაც შეეხება იმას, 1984 წლის კოდექსი რომ გამოიყენა, ამაზე ვერ გამოგყვებით, იმიტომ, რომ მოსამართლემ ის გამოიყენა, რაც გვაქვს. 1997 წლის კოდექსი არ გვაქვს და, შესაბამისად, ის გამოიყენა, რაც გვაქვს. ამაზე მოსამართლეს ვერ მოვედავებით, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვედავოთ სხვა რამეზე.

– რაზე?

– ჯერ ერთი, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რამდენად სწორად გამოიყენა კოდექსის ნორმები, მაგრამ, რომც ჩავთვალოთ, რომ სწორად გამოიყენა და კანონი არ დაურღვევია. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. საქართველოში ზედაპირული მოქმედების მქონე კანონი არის არა მხოლოდ ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, არამედ ადამიანის უფლებების ნაწილში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების, რომლის ნაწილიც არის საქართველო, მათ შორის ევროსასამართლოს, ევროკონვენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ამიტომ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლოს ევალება, ყველაზე მაღალი სტანდარტით იხელმძღვანელოს და, შესაბამისად, მას უნდა გამოეყენებინა ზუსტად ის ნორმები, რომლებიც უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, ჩვენ მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართალი გამოეყენებინა და გადაწყვეტილებაც განსხვავებული დადგებოდა.

საქართველოში დასჩემდათ მოსამართლეებს ასეთი რაღაცა და, როგორც ჩანს, ეს არის მურუსიძის დაწერილი მესიჯბოქსი, რათა მუდმივად ისაუბრონ იმაზე, რომ შესაძლოა ეს არ არის ვილაცისთვის მისაღები გადაწყვეტილება და რომ აი შეიძლება მეც არ მომწონდა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ სხვა შანსი არ მქონდა, იმიტომ, რომ კანონმა არ დამიტოვა სხვა შანსი. ეს არის აბსოლუტურად სულელური არგუმენტი, ვინაიდან, კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენი ქვეყნისთვის კანონი არ არის მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი და კანონია ასევე პირდაპირი მოქმედების, ევროსასამართლოს წარმოებული საქმეები და, შესაბამისად, შეუძლიათ გამოიყენონ, უფრო სწორად, ვალდებულები არიან, გამოიყენონ, მაგრამ ამას არ აკეთებენ, ზოგი – უცოდინრობით, ზოგი კი იმიტომ, რომ თვადაც ამ განწყობაზეა, რაც მათ გადაწყვეტილებებში აისახება ხოლმე.

– არის თუ არა ეს საშიში პრეცედენტის მორიგი გამოვლინება?

– რა თქმა უნდა. თავისთავად, როდესაც მოსამართლე არჩევანს აკეთებს ადამიანის უფლებების გამაუარესებელ კანონზე, ეს ყოველთვის ძალიან ცუდი პრეცედენტია და გულწრფელად უჩენს ადამიანებს განცდას, რომ მათ ჰქონდეთ უფრო ცუდი მოლოდინი.

ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში არ არის საქმე და მიდგომა არის თავისთავად სახიფათო, როდესაც აქცენტს აკეთებ იმაზე, რაც აუარესებს ადამიანის უფლებების მდგომარეობას და არა ის, რაც უკეთეს მდგომარეობაში აყენებს მოქალაქეებს. ეს ყოველთვის არის სახიფათო ტენდენციისა და ქვეყნის არასწორი განვითარების მაჩვენებელი.

– რაც არის ქვეყნის პოლიტიკა ამ მიმართულებით, იმის გაგრძელება ჩანს ამ გადაწყვეტილებაში? ვგულისხმობ იმას, რომ რამდენიმე თვის წინ დაიწყო დისკუსია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონტროლზე და ა.შ.

– ზოგადად ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში სასამართლო არის თავისუფლების ფლაგმანი, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის უფლებების „ქეისებს“ ეხება. როგორც წესი, რევოლუციური გადაწყვეტილებები გამოაქვთ დამოუკიდებელ და პროფესიონალ მოსამართლეებს და ერთგვარად ტონს ადგენენ ადამიანის უფლებების კიდევ უფრო მეტი თავისუფლებისათვის.

ჩვენნაირ ქვეყნებში კი, იმ ქვეყნებში, რომლებიც გადახრილი არიან ავტორიტარიზმისა და დიქტატურისკენ, ჩვენთან დიქტატურა არ არის, მაგრამ ასეთი ტიპის ქვეყნებში სასამართლო არის რეცესია იმისა, რაც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა. შესაბამისად, მოსამართლეები ჩართულნი არიან ამ პროცესში.

ხშირად ისმის ასეთი ფრაზა, რომ მოსამართლეს დაავალეს. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვილაცა მუდმივად ტელეფონზე კიდია და ეუბნება, ასე და ისე მოიქეციო, არამედ მან იცის „თავისი ადგილი და როლი“, იცის ის, თუ „რო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# სოსო ცინცაძე: „გახარიას კაბინეტში ერთგული მინისტრები არ სჭირდება“

## „თუ ივანიშვილმა მისი მოხსნა გადაწყვიტა, სულ ნათესავებით რომ ჰქონდეს კაბინეტი გავსებული, ისინი ვერაფერს უშველიან“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე საუბრობს.**



***– ბატონო სოსო, გასულ კვირას ინფორმაცია გავრცელდა ეკონომიკის მინისტრ თურნავას გადაყენებასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა თურნავას პასუხი, რომ მას ბიზნესჯგუფები ებრძვიან. ამ ყველაფერს პრემიერმა ჭორები უწოდა და თურნავა კაბინეტის ძლიერ მინისტრად დაასახელა. რა მოხდა?***

– ნათია თურნავას ხელისუფლებაში უკვე ჭიპი აქვს მოჭრილი სხვადასხვა თანამდებობაზე სხვადასხვა ხელისუფლების დროს. ის ხელისუფლების ბუნებას, შინაგან სამზარეულოს ბრწყინვალედ იცნობს. ამიტომ მისი ექსტრავაგანტური განცხადება მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მისი ფანტაზიის ნაყოფი ვერ იქნებოდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა. ხომ გახსოვთ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ასევე ჟურნალისტებთან როგორი განცხადება გააკეთა სწორედ მისი შესაძლო გადაყენების საკითხზე?! ძალიან მკვეთრი განცხადება გააკეთა, ისეთი, რომ გამგებს უნდა გაეგო.

***– თურნავა წულუკიანის პოლიტიკურ წონით კატეგორიაში რომ არ არის?***

– თურნავამაც გააკეთა ისეთი განცხადება, რომ გამგებს უნდა გაეგო.

***– ამ შემთხვევაში ვის?***

– როგორც ჩანს, არც წულუკიანის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია და არც თურნავას წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობა არ იყო შეთანხმებული უმაღლეს ხელისუფალთან. ერთგვარი ნიადაგის გამოცლა დაიწყეს ქვემოდან, რომ ბუნებრივად მომხდარიყო მისი გადაყენება.

ზუსტად ასე დაიწყო წულუკიანის შემთხვევაშიც, მაგრამ მანაც ზუსტი გზავნილი გაუშვა და, როგორც ჩანს, თურნავამაც.

პრემიერის გამოსვლა, რომ ეს ყველაფერი ჭორია და მეტი არაფერი, არცთუ ელეგანტური პოლიტიკური სვლა იყო მისი მხრიდან.

მე არ გამოვრიცხავ, რომ გიორგი გახარიას თავისი ერთგული წევრები, მინისტრები უნდა კაბინეტში. ვინც დახვდა, ეს ხომ მისი დაკომპლექტებული გუნდი არ არის. ამიტომ, გახარიას თავისი ერთგული ხალხი რომ უნდოდეს მთავრობაში, ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. თუმცა ივანიშვილმა თუ გახარიას გადაყენება გადაწყვიტა, რა მნიშვნელობა აქვს, მთელი მინისტრთა კაბინეტი მისი ერთგულიც რომ იყოს, ვერავინ უშველის.

გიორგი გახარია, ასე თუ ისე, ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ, მე არ მგონია, რომ ახლა გახარია გაიტაცოს იმ აზრმა, რომ თავისი ერთგული ხალხით დააკომპლექტოს კაბინეტი. როდის იყო, ჩვენთან პრემიერს რიგითი მინისტრების ინტრიგების შედეგად ხსნიდნენ! ქვევიდან მოხსნილი პრემიერ-მინისტრი მე არ მახსოვს, ზემოდან – რამდენიც გინდათ.

ამიტომ, სულ საკუთარი ბიძაშვილ-მამიდაშვილები რომ მოიყვანოს, მაინც ვერ უშველიან. როდესაც, მისი წინამორბედების მსგავსად, გადაწყდება გახარიას წასვლაც, ისიც ბედს შეგუებული წავა.

თუ 2020 წლის არჩევნებს მოიგებს, იქნება, თუ წააგებს, მაშინ, ბუნებრივია, ისედაც შეიცვლება მთავრობაც და პრემიერიც.

***– ნათია თურნავა როდესაც მინისტრად ინიშნებოდა, ითქვა, რომ მას ვანო ჩხარტიშვილი ლობირებდა.***

– ვანო ჩხარტიშვილს ბიძინა ივანიშვილთან ხმა მიუწვდება. ამიტომ თურნავამ ჟურნალისტებთან ილაპარაკა, მებრძვიანო და ეს ნათქვამი ადრესატამდე მივიდა. ამიტომ თურნავა ხვალ შეიძლება რომელიმე ორდენის კავალერიც გახდეს.

ეს პირველი კავალერისტური შეტევა თურნავასადმი გაივლის, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მას დაემშვიდობონ, თუ სერიოზულად მოინდომებენ მის მოხსნას, მით უფრო – ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით.

რა დღეშია საქართველოს ეკონომიკა, ყველა ვხედავთ, როგორ ყოველდღიურად ძვირდება ჩვენი ცხოვრება, პირდაპირი მნიშვნელობით ძვირდება.

ახლა პარლამენტში სოციალური ბიუჯეტის განხილვებია. თითქოს პენსიების ზრდა, როგორც პროგრესი, უნდა გვიხაროდეს, მაგრამ საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმაც კი იცის, პენსიების ზრდა პირდაპირ ფულის მასის ზრდას იწვევს. მსოფლიოში დამისახელონ ერთი მაგალითი მაინც, როდესაც ფულის მასის გაზრდას ფასების დაწევა გამოეწვიოს. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ინფლაცია ფასების ზრდას იწვევს და არა პირიქით.

ამიტომ, ისევ კადრების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, სიმართლე გითხრათ, ამაში დიდ უცნაურობას ვერ ვხედავ. ეს არის ქართული საკადრო პოლიტიკის ტრადიცია, გნებავთ, აქილევსის ქუსლი.

ასე იყო გამსახურდიას დროს, ასე იყო შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს და ასეა ახლაც. ეს არის პირად ერთგულებაზე აგებული საკადრო სელექცია. იმდენი წყალქვეშა დინებაა, ჩვენ რას გავიგებთ. თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, თითქოს ყველა ყველას იცნობს, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისე ხდებიან ადამიანები უცებ მილიონერები, ისე მდიდრდებიან, რომ ვერც კი ფიქრობ, როდის მოასწრეს.

არადა, ყველა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს მილიონერების, მილიარდერების სია და ამის შესახებ იმ ქვეყნის მოქალაქეებმა იციან.

# გოგი წულაია: „ლაშა ნაცვლიშვილს პროკურატურაში ახლა არავინ დაიბარებს, მაგრამ მალე ყველას ყველაფერი მოეკითხება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ გოგი წულაიას.**

***– მალე პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს 2020 წლისთვის დაპირებული პროპორციული სისტემა ბუნებრივი ბარიერით. 2012 წლის შემდეგ პოლიტიკაში გაკრეფილი შუა ივსება?***

– შეიძლება თქმა, რომ შუა გაკრეფილი აღარ არის. ამდენი ლაპარაკი ერთ მხსნელ მესამე ძალაზე არასწორად მიმაჩნია. ეს დანომვრა რა საჭიროა, არ მესმის. აუცილებლად მოვლენ სხვა ძალები, გაჩნდება მრავალფეროვნება, მრავალპარტიულობა. ზუსტად ეს გვჭირდება.

***– „ქართული ოცნების“ განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ეს პარტია ისევ დომინანტობას აპირებს.***

– ნათქვამია, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ციფრებსაც რომ ასახელებენ! რაის 60%! „ქართული ოცნებაა“ პარლამენტში 60%-ის ამღები?! ისე მაგათ რა ვუთხარი. მაგისი თვითონაც არ სჯერათ.

***– ასეთი ამბიციური განცხადებები რისთვის სჭირდებათ?***

– საკუთარი თავისთვის. „ქართულ ოცნებას“ შიგნით აქვს დომხალი. რომ გამოაცხადებენ, ასეთი მაგრები ვართ, 60%-ს ავიღებთო, გულგატეხილ ხალხს „ოცნებაში“ გული უბრუნდება. სინამდვილეში, მაგათი დრო წასულია. „ოცნება“ ორი ვადით იყო ხელისუფლებაში. მესამე ვადით მსოფლიო არავის ნავარდს არ დაუშვებს. ერთპარტიულობაც არ გამოვა.

***– ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებაც არ გამოვა?***

– ვერც „ქართული ოცნება“ და ვერც ნაციონალური მოძრაობა ვერ დაამყარებენ ერთპარტიულობას, მათი ორპოლუსიანობაც მთავრდება. 2020 წელი მოიტანს მრავალპარტიულობას.

***– მოსალოდნელი მრავალპარტიულობის გათვალისწინებით, გააქტიურდა საუბრები, ვინ ვის შეუქმნის კოალიციასა და კოალიციურ მთავრობას.***

– ამაზე ლაპარაკი არის წინასაარჩევნო ტრიუკების მოწყობა. კაცმა არ იცის, ვინ რამდენ პროცენტს აიღებს. რა დროს მთავრობის დაკომპლექტებაა, თან არჩევნებამდე ერთი წელიწადია.

***– თქვენს პარტიას არ ჩამოუყალიბებია ამაზე პოზიცია?***

– ჯერ უნდა გაიმართოს არჩევნები, დაკომპლექტდეს პარლამენტი, უნდა მოხდეს მსჯელობა პრინციპებზე, იქნება ეს საგარეო პოლიტიკა თუ საშინაო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა თვითმმართველობა. თვითმმართველობას მიხედვა სჭირდება. მოსაგვარებელია სხვა უამრავი პრობლემა. ვისთანაც მთავარ პრინციპებზე საერთოს ვიპოვით, იმასთან ერთად შევქმნით კოალიციას.



***– რამდენიმე დღის წინ ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელიც „ქართული ოცნების“ პიარჯგუფს წარმოადგენს, თქვა, რომ 2012 წელს „ოცნებას“ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და ხალხისგან მიღებული მანდატი, რათა დაესაჯა დამნაშავე მაღალჩინოსნები სააკაშვილის ხელისუფლებიდან. მისი თქმით, „ოცნებამ“ ეს არ გააკეთა დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე.***

– ეს სასაცილოა. განსაკუთრებით სამასხარაოა დემოკრატიაზე ლაპარაკი. დემოკრატია დამნაშავეებისთვის ხელის დაფარება კი არა, დამნაშავეების კანონის მიხედვით დასჯაა. დემოკრატია ის არის, როცა კანონი და სამართალი ყველასთვის თანაბარია. როცა კაცი ამბობს, დამნაშავეებს პასუხი არ ვაგებინეთო, ამ განცხადების ავტორი, წესით, პროკურატურაში უნდა დაიბარონ.

***– ამას არ ელით?***

– ნაცვლიშვილს ახლა არავინ დაიბარებს პროკურატურაში, მაგრამ მოვა დრო და ყველას ყველაფერი მოეკითხება. ეს სხვა ხელისუფლების დროს მოხდება.

***– თქვენმა პარტიამ თურქეთიდან ჩამოიტანა იაფი მედიკამენტები. ამით დაამტკიცეთ, რომ საქართველოში იგივე წამლები ბევრად ძვირი ღირს. ამით მსხვილი ბიზნესი არ გაანაწყენეთ?***

– ჯერჯერობით არა. ეს დასაწყისი იყო. რამდენი წელია, ხალხი იტანჯება მედიკამენტების სიძვირით. მსხვილ მოთამაშეებს, ავერსი იქნება ეს, პსპ თუ ფარმადეპო, რომელთა გაუმაძღრობას საზღვარი არა აქვს, ჩვენგან ჯერ დარტყმა არ მიუღიათ. ერთი პარკი წამლების ჩამოტანა ამ კასტას ვერ დააზიანებდა.

ეს ხალხი მდიდრდება ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე. თუ ისინი იგრძნობენ, რომ ზარალდებიან, არ დაგვინდობენ და საქართველოში განმეორდება იგივე, რაც თავის დროზე ხდებოდა აშშ-ში, როცა წამლების მაფია სროლაზე გადავიდა.

ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ, ბრძოლის არ გვეშინია.

# შს მინისტრი პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომას დაესწრო. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაური დეპუტატებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროგრამებისთვის გამოყოფილ თანხებზე ესაუბრა.



შეხვედრაზე ასევე განიხილეს სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხები. შეხვედრა მედიისთვის დახურულ ფორმატში წარიმართა.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში ნდობის ჯგუფთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მედიის კითხვებს უპასუხა.

– ნდობის ჯგუფთან, პირველ რიგში, ვისაუბრეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზე, ასევე – საიდუმლო შესყიდვებზე, რაც ძალიან მცირე აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვა ძალოვან უწყებებთან შედარებით, 2018-2019 წლებში რა იყო და რას ვგეგმავთ 2020 წელს, რის შესყიდვას ვაპირებთ, როგორ არის ბიუჯეტი გაწერილი. ასევე, ვისაუბრეთ ხელფასების თემაზე, 2019 წელს რამდენ ადამიანს მოემატა და რა რაოდენობით ხელფასი, 2020 წელს რას ვაპირებთ და რამდენ ადამიანს მოემატება.

საუბარი იყო საზღვრის თემაზეც, არსებულ პრობლემებზე, რამდენიმე მიმართულებით გვაქვს პრობლემები. აზერბაიჯანის მიმართულებით, მაგალითად, ამაზე იყო საუბარი და ეს პრობლემა თითქმის გადაწყვეტილია.

თუმცა დემარკაცია-დემილიტარიზაციის პრობლემა გვაქვს სომხეთთან. ეს ძალიან შრომატევადი პროცესია და არ ველოდებით, რომ ერთ დღეში, ერთ წელიწადში უცებ გადაწყდება ეს ყველაფერი. ამაზე ვმუშაობთ. დახურული ფორმატი იყო და, ბუნებრივია, დეტალებზე ვერ ვისაუბრებთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

# თინა ხიდაშელი: „თუ 2020-ში გარღვევა არ მოხდა, აღმოსავლური ტიპის დესპოტურ ქვეყნად ვიქცევით“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გორ უნდა მოიქცეს“. შესაბამისად, იქცევა ისე, როგორიც არის ხელისუფლების მიერ დადგენილი ზოგადი ტრენდი. ეს არის განსხვავება დემოკრატიული სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლებასა და ავტორიტარულ სახელმწიფოს შორის. დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლო ადგენს მაღალ სტანდარტს, ხოლო აქ სასამართლო მიჰყვება იმ ტენდენციებს, რომლებსაც ხელისუფლება ადგენს.

– ხომ არ ელოდებით იმას, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თემაზე კვლავ წამოსწევენ დისკუსიას, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო?

– არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა ეგ დისკუსია საჯარო სივრცეში, მაგრამ, მე ვფიქრობ, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, იქიდან გამომდინარე, რომ ტენდენცია და მიდრეკილება ერთმნიშვნელოვანია. როდესაც ხელისუფლებას ეს კომფორტი აქვს ერთი მხრივ და მეორე მხრივ კი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სახელისუფლებო ტელევიზიები არსებობდეს ქვეყანაში, სახელისუფლებო მედია შექმნას, ანუ პოლიტიკური პარტიის რუპორი გააკეთოს, იქ უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, საჯარო სივრცეში რა ტიპის დისკუსიას წარმართავს. სრულიად ერთმნიშვნელოვანია, რომ ასეთი ხელისუფლება მარცხისთვის არის განწირული, ასეთი სახელმწიფო კი – აბსოლუტურად არადემოკრატიულ ღირებულებებში ჩაკეტვისათვის.

ამიტომ, რამე მნიშვნელოვანი გარღვევა თუ არ მოხდა 2020 წლის არჩევნებში, ჩვენ აღმოსავლური ტიპის დესპოტიად ვიქცევით და ვიცხოვრებთ ბედნიერად სრული პროპაგანდისა და პარტიული დესპოტიზმის პირობებში.

# გურამიშვილზე 16-სართულიან კორპუსში, სოსო ჯავახიშვილის ბინაში, აფეთქება მოხდა

## „მარტო ცხოვრობდა. მამასთან დაურეკავს და უთქვამს, დედაჩემი გამოგზავნე, ცოტა დამწვარი ვარო“

19 ოქტომბერს თბილისში, დილის 8 საათზე, გურამიშვილის გამზირზე 34 ნომერში მდებარე 16-სართულიანი კორპუსის მე-4 სართულზე ძლიერი აფეთქება მოხდა.



აფეთქების შედეგად დაშავდა 4 მოქალაქე, რომლებიც სხვადასხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პირველადი ინფორმაციით, აფეთქება გაზის დაგროვებამ გამოიწვია, რასაც კორპუსის მე-4 სართულზე ნგრევა და მოპირდაპირედ მდგარ კორპუსში ფანჯრის მინების მსხვრევა მოჰყვა.

ადგილზე მისვლისთანავე მეხანძრე-მაშველებმა კორპუსიდან მოსახლეობის სრული ევაკუაცია განახორციელეს.

ბინაში, სადაც აფეთქება მოხდა, ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი სოსო ჯავახიშვილი ცხოვრობს.

– მესამე სართულზე, სადაც აფეთქება მოხდა, ახალგაზრდა ბიჭი ცხოვრობდა, ძალიან კარგი ბიჭია, უცოლო, დედისერთა ბიჭი. ყველა მაგაზე ვგიჟდებით, 70% აქვს სხეულის დამწვრობა მიღებული. არ ვიცით, როგორ არის და ყველა მაგ ბიჭზე ვნერვიულობთ, – თქვა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

„თბილისი ენერჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნათია მიქიაშვილმა კი განაცხადა, რომ მათ სოსო ჯავახიშვილი რამდენჯერმე გააფრთხილეს იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარიყო განმეორებითი შემოწმება, თუმცა, ის კარის გაღებაზე უარს აცხადებდა.

განსხვავებული ინფორმაცია აქვთ სოსო ჯავახიშვილის ახლობლებს.

მათი თქმით, მამაკაცი მარტო ცხოვრობდა და აფეთქების შემდეგ სამაშველო სამსახურს თავად დაუკავშირდა. ისინი გამორიცხავენ ინფორმაციას, რომ სოსო ჯავახიშვილმა გაზის თანამშრომლებს კარი არ გაუღო.

– ამ ადამიანს ასე არასერიოზული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არ ექნებოდა, ეს არის გამორიცხული. გაზის თანამშრომლები მივიდნენ და კარი არ გაუღო, ეს მცდარი ინფორმაციაა, იმიტომ, რომ ეს ადამიანი დილიდან საღამომდე მუშაობდა და, შესაძლოა, იმ პერიოდში არ ყოფილიყო სახლში.

მარტო ცხოვრობდა. მამასთან დაურეკავს და უთქვამს, დედაჩემი გამოგზავნე, რომ ცოტა დამწვარი ვარ, მეტი არაფერიო, – განაცხადა სოსო ჯავახიშვილის ახლობელმა.

აფეთქებიდან რამდენიმე საათის შემდეგ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც სოსო ჯავახიშვილი მკურნალობს, ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა მივიდა.



– სოსოს ახლობლები მოვინახულე და, როგორც ვიცი, დაზარალებულების უმეტესი ნაწილი გაწერილია სახლში. ჩვენ გავამკაცრეთ კანონი. მოწმდება გაზის მოწყობილობები და აუცილებლად ხდება კუსტარულად დამონტაჟებული გაზდანადგარების ჩაჭრა, მაგრამ მოსახლეობამაც უნდა შეგვიწყოს ხელი, რომ მოხდეს აღნიშნული შემთხვევების პრევენცია. მინდა მოვუწოდო მოსახლეობას, რომ სიფრთხილე გამოვიჩინოთ, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

აფეთქების ადგილზე შს მინისტრი ვახტანგ გომელაური ვითარებას გაეცნო.

– დაღუპული, საბედნიეროდ, არავინ არის, ერთი ადამიანია შედარებით მძიმე, რომელიც რეანიმაციაშია გადაყვანილი, ეს არის ადამიანი, რომელიც იმ ბინაში იმყოფებოდა, სადაც აფეთქება მოხდა.

როგორც ექსპერტები გვეუბნებიან, ეს ოჯახი რამდენიმე თვის წინ იყო გაფრთხილებული, რომ არ დაეერთებინათ, ჩაუჭრეს კიდეც, ექსპერტიზა დაადგენს, მიერთება მოახდინა ამ ადამიანმა და ამან გამოიწვია სავარაუდოდ, აფეთქება თუ არა, ჯერ ვერაფერს ვიტყვით წინასწარ, გამოძიება დაწყებულია.

კანონით, ჩვენ კარს ვერ შევუნგრევდით იმ მიზეზით, რომ გადაგვემოწმებინა დააერთა თუ არა, ამის უფლება არ გვაქვს, რომ იძულებით დავათვალიეროთ გამათბობელი თუ გაზქურა. ვერაფერს გეტყვით, ექსპერტიზა უნდა დამთავრდეს და გამოძიება დაადგენს, ვისი პასუხისმგებლობა დადგება, – განაცხადა მინისტრმა გომელაურმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო. ეს გულისხმობს მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება და მოჰყვა მნიშვნელოვანი ზიანი.

# რა კავშირი აქვს ნინო ჭიღლაძის სიკვდილთან იმედა გაბოძეს

## უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე

31 წლის ნინო ჭიღლაძის საქმე, რომელიც ახალციხეში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, დღემდე გაუხსნელია.

რამდენიმე გამოკვლევით გაირკვა, რომ ახალგაზრდა ქალს თავში ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული. მტკიცებულებების სიმწირის გამო პროკურატურა კვალიფიკაციას ვერ ცვლის და საქმე გაუხსნელია.

უბედური შემთხვევის ვერსია პროკურატურამ კითხვის ნიშნის ქვეშ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ დააყენა. დოკუმენტში, რომელიც გასაიდუმლოებულია, წერია, რომ ნინო ჭიღლაძემ გონება თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით დაკარგა.

ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გარდაცვლილის ოჯახი დარწმუნდა, რომ ახალგაზრდა ქალი მოკლულია. დაზიანებები, რომლებიც ბუნებრივი სიკვდილის ვერსიასთან წინააღმდეგობაში მოდის, დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმაც გამოიკვლია, რომელმაც საქმის მასალები სრულად შეისწავლა.

დამოუკიდებელი ექსპერტი კურიერთან ადასტურებს, რომ ბევრი ისეთი გარემოებაა, რაზეც თუ გამოძიება სწორი მიმართულებით წავა, ჭეშმარიტება დადგინდება. მათ შორის დასაზუსტებელია, როგორ აღმოჩნდა დაზიანებები იმ მამაკაცის სხეულზეც, რომელიც გარდაცვალების დროს ნინო ჭიღლაძესთან ერთად იყო.

ერთ-ერთი ვერსიით, მეგობრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა, რაც ტრაგედიით დასრულდა.

ამას კატეგორიულად უარყოფს ბრალდებების ადრესატი იმედა გაბოძე.



იმედა გაბოძე კურიერს საქმის საეჭვო გარემოებებზე სასაუბროდ ინტერვიუზე არ დათანხმდა. თუმცა, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ თავისი და გარდაცვლილის სხეულზე არსებული დაზიანებები ჩქმეტამ განაპირობა, რაც დამოუკიდებელი ექსპერტისთვის ნაკლებად სარწმუნოა.

გარდაცვლილის ოჯახი მომხდარის დღიდანვე ამტკიცებს, რომ გაბოძეს მკვლელობასთან კავშირი აქვს, პოლიციას კი რეალური ფაქტები დაუმალა. ამ საეჭვო გარემოებების მიუხედავად, იმედა გაბოძე მხოლოდ გამოკითხულია. ის თავიდან მიმალვაში იყო, ბოლო პერიოდში კი სოფელში დაბრუნდა. როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამბობენ, სავარაუდო დამნაშავე მათ გაჩუმებას სთხოვს და სიცოცხლის მოსპობით ემუქრება.

ერთ-ერთი ვერსიით, მეგობრებს შორის დაპირისპირების მიზეზი ნინო ჭიღლაძის გადაწყვეტილება იყო, რომ ყოფილ ქმართან დაბრუნებას აპირებდა, რაც მან გაბოძეს ტელეფონით შეატყობინა. ამის შემდეგ, გარდაცვლილის მობილური ტელეფონის კვალი იკარგება და გამოძიებამ ამ დრომდე ვერ მიაგნო.

ადვოკატები, რომლებიც დაზარალებულის ინტერესს იცავენ, ფიქრობენ, რომ მტკიცებულებების შეგროვება იმ მარტივი მიზეზის გამო გაჭიანურდა, რომ შემთხვევის ადგილი გამომძიებლებმა ზედაპირულად დაათვალიერეს.

გარდაცვალების რეალური ისტორიის ერთადერთი თვითმხილველი სწორედ იმედა გაბოძეა. საქმეზე გამოძიება ისევ გრძელდება, მაგრამ დანაშაულის კვალიფიკაცია ჯერ არ შეცვლილა.

ძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

# შავლეგ კვარაცხელია მშობლებმა ჩამომხრჩვალი იპოვეს




## რა მოხდა წალენჯიხაში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიფუს მკვიდრი ახალგაზრდა მამაკაცი შავლეგ კვარაცხელია მშობლებმა სახლის უკან სათბურში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ მერიის წარმომადგენელმა ნაკიფუს თემში ვახტანგ მოლაშხიამ განუცხადა.

– მშობლები მოსავლის ასაღებად იყვნენ წასულები, სახლში მარტო ყოფილა და რომ დაბრუნდნენ, ეს საშინელი სურათი დახვდათ. უნიჭიერესი ახალგაზრდა იყო. შეძრწუნებულია სოფელი.

როგორც ამბობენ, წლების წინ, როცა იგი იმყოფებოდა ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში, ვიღაცამ შეაშინა და ეს შიშები წელიწადში ერთხელ ახსენებდა თავს, მკურნალობდა კიდეც, – ყვება სოფლის რწმუნებული ვახტანგ მოლაშხია.

მისივე თქმით, გარდაცვლილს ადრე თავის მოკვლის მცდელობა არ ჰქონია, თუმცა რამდენიმე თვის წინ ძმისთვის უთქვამს, რომ ამის სურვილი ჰქონდა.

– ამის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, – თქვა ვახტანგ მოლაშხიამ.

საქმე აღძრულია სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# თერჯოლაში ე.ქ.-მ უცხოელს ხელჩანთიდან 2.000 დოლარი მოჰპარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1982 წელს დაბადებული ე.ქ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.



დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, თერჯოლაში მდებარე სწრაფი კვების ერთ-ერთ ობიექტში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ხელჩანთიდან 2.000 ამერიკული დოლარი მოჰპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ე.ქ.-მ მოპარული ფული ამავე კვების ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ჯიხურის უკან გადამალა.

ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს, მის მიერ მოპარული და გადამალული თანხა კი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# პეკინის გამზირზე ნ.ბ.-ს კოლტი უპოვეს

პოლიციამ თბილისში, პეკინის გამზირზე, 1 პირი დააკავა.




„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1995 წელს დაბადებული ნ.ბ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე თბილისში, პეკინის გამზირზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი „კოლტი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# ფონიჭალაში 26 წლის მამაკაცი დააკავეს

## მისგან 4 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი ამოიღეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ა.პ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა ა.პ. ფონიჭალის დასახლებაში გადამოწმების მიზნით შეაჩერა. სამართალდამცველებმა მისგან 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნინოწმინდაში მწყემსს მეხი დაეცა და მოკლა

19 ოქტომბერს ნინოწმინდაში, სოფელ სამებასთან, გარდაცვლილი კაცი იპოვეს. მას, სავარაუდოდ, მეხი დაეცა.

მომხდარზე დაწყებულია ძიება.

გარდაცვლილი დახოცილ პირუტყვთან ერთად მესაზღვრეებმა დღის ბოლოს, დაახლოებით 20:00 საათზე იპოვეს.

– მესაზღვრეებმა სოფელ სამების მიმდებარედ, მთებში იპოვეს გარდაცვლილი. გავრცელებული ინფორმაციით ორნი იყვნენ და ცხვრის ფარას მწყემსავდნენ. ერთია გარდაცვლილი, სხვა ინფორმაცია ამ ეტაპზე არ მაქვს. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან არ არიან, – უთხრა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერმა ანივარდ მოსოიანმა „სამხრეთის კარიბჭეს“.

გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## ტრამპი: „ჰილარი კლინტონი შეიშალა“



ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებით, შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გაგიჟდა, როდესაც ორი ამერიკელი პოლიტიკოსი რუსეთთან კავშირში ამხილა.

კლინტონმა განაცხადა, რომ რუსეთთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი არიან დემოკრატი კონგრესმენი თულსი ჰაბარდი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი „მწვანეებიდან“ ჯილ სთაინი.

კლინტონის თქმით, რუსეთი თავაზიანად ექცევა დემოკრატების კანდიდატს, რათა მომავალ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ადამიანმა, რომელიც მის ინტერესებს იქნება მორგებული.

„ის კონგრესმენ თულსი ჰაბარდს რუსეთის ფავორიტს უწოდებს, ჯილი სთაინს – რუსეთის აგენტს. თქვენ, ალბათ, გსმენიათ, რომ მეც მიწოდეს რუსეთის დიდი მოყვარული (სინამდვილეში მომწონს რუსი ხალხი! მე ყველა ხალხი მიყვარს!). ჰილარი შეიშალა!“ – წერს დონალდ ტრამპი „ტვიტერის“ გვერდზე.

## ერდოღანი: „ტერორისტებს თავებს გავუსრესთ“



თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი იმუქრება, რომ თურქეთი ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ოპერაციას განაგრძობს და „ტერორისტებს თავებს გაუსრესს“, თუ ქურთი მებრძოლები „უსაფრთხოების ზონის“ ტერიტორიას არ დატოვებენ.

– თუკი ჩვენთვის მოცემული პირობები არ შესრულდება, უწინდელივით აღარ მოვიცდით და ოპერაციას განვაგრძობთ. იმ წუთიდან, როგორც კი შეთანხმებული 120 საათი ამოიწურება, ტერორისტების თავების სრესას განვაგრძობთ, – განაცხადა ერდოღანმა.

9 ოქტომბერს თურქეთმა სირიაში სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ დაიწყო. ანკარა ამტკიცებს, რომ ოპერაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი „უსაფრთხოების ზონის“ შექმნა და მილიონობით სირიელი დევნილის დაბრუნებაა.

ერდოღანის აშშ-ის ვიცეპრეზიდენტთან და სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგ თურქეთმა ოპერაცია დროებით შეწყვიტა.

ქურთულ ძალებს 120 საათი მისცეს იმ ტერიტორიის დასატოვებლად, სადაც თურქეთი „უსაფრთხოების ზონის“ მოწყობას გეგმავს.

## ბრიტანეთის პარლამენტი ბრექსიტის გადავადებას მოითხოვს



ბრიტანეთის პრემიერმა ჯონსონმა ბრექსიტთან დაკავშირებით ევროკავშირთან შეთანხმებას მიაღწია. პარლამენტმაც ბრექსიტს კენჭი უყარა, რაც ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლების ფონზე მოხდა.

ბრექსიტის წინააღმდეგ წამყვანი ოპოზიციური პარტიები გამოვიდნენ. მანიფესტაციებში ლონდონის მერი ჰანიც მონაწილეობდა.

პარლამენტმა მიიღო დადგენილება ბრექსიტის გადავადების შესახებ.

ამ დადგენილების მიხედვით, ბრექსიტი 2020 წლის 31 იანვრამდე გადაიდო. პრემიერ ჯონსონს პარლამენტმა დაავალა, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობას სათანადო წერილით მიმართოს და ბრექსიტის გადადების თაობაზე აუწყოს.

## ლონდონში ნაზარბაევის შვილიშვილმა პოლიციელს თითზე უკბინა



ლონდონში ყაზახეთის ექსპრეზიდენტ ნაზარბაევის შვილიშვილი აისულტანი გაასამართლეს.

პირველად მან სასტუმროში დებოში ატეხა, მეორედ ერთ-ერთი ქალის აივანზე აძრომა ცადა. ქალმა პოლიცია გამოიძახა. აისულტანმა ძალოვნებს წინააღმდეგობა გაუწია და ერთ-ერთ პოლიციელს ხელზე უკბინა.

ყაზახეთის ყოფილი პრეზიდენტის შვილიშვილი დააპატიმრეს. შემოწმებამ ცხადყო, რომ ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

სასამართლომ მას პირობითი სასჯელი დაადო. აისულტანი ვალდებულია, ერთი წლის განმავლობაში იძულებითი სამუშაოები შეასრულოს და ნარკომანიის მკურნალობის კურსიც გაიაროს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

### ავსტრალიელმა ლატარიაში ჯეკპოტი მეორედ მოხსნა



ავსტრალიის ქალაქ პერტის მცხოვრებმა ჯეკპოტი, 382 ათასი ავსტრალიური დოლარი მოხსნა და ეს გააკეთა პირველი ჯეკპოტის მოგებიდან 12 წლის შემდეგ.

40 წლის ავსტრალიელი თავის მეგობართან წვეულებაზე იმყოფებოდა და გადაწყვიტა, ლატარიის გათამაშების შედეგები შეემოწმებინა. მან აღმოაჩინა, რომ მსხვილი თანხა მოიგო და მაშინვე მეუღლეს დაურეკა.

ამ ახალმა ამბავმა ავსტრალიელს ორკვირიანი შვებულების ბოლო დღეები გაულამაზა და სამუშაოზე დაბრუნება გაუხალისა.

2007 წელს მან ლატარიაში 150 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო, თუმცა, იმის გამო, რომ ის მეგობრებთან ერთად თამაშობდა, მათთვის პრიზის განაწილება მოუხდა. მას შემდეგ მამაკაცი ლატარიის ბილეთების ყიდვას აგრძელებდა იმის იმედით, რომ კიდევ ერთხელ მოხსნიდა ჯეკპოტს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ამის იმედი არ დაუკარგავს.

### აშშ-ში იშვიათი შეფერილობის ფრინველი გადაიღეს



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პორტ-სენტ-ლიუისში იშვიათი ყვითელი შეფერილობის წითელი (ვირჯინიული) კარდინალი აღმოაჩინეს.

ფოტოხელოვნების მასწავლებელმა ტრეისი უორკმანმა უცნაური შეფერილობის წითელი კარდინალი პირველად ეზოში ოქტომბრის დასაწყისში შენიშნა. ღია ყვითელი ფერის ფრინველი ცხრა დღის შემდეგ ისევ მოფრინდა. ამჯერად ქალი მას ხუთი წუთის განმავლობაში თვალს ადევნებდა და მისი კამერით გადაღებაც მოასწრო.

– საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ეს ფრინველი ვნახე, – იხსენებს ქალი, – ძალიან გახარებული ვარ.

ობერნის უნივერსიტეტის ბიოლოგიის პროფესორმა ჯეფრი ჰილმა დაასკვნა, რომ ფოტოსურათზე მოზრდილი მამალი წითელი კარდინალია აღბეჭდილი, იშვიათი გენეტიკური მუტაციით. მისი თქმით, ამ სახეობის ყვითელი შეფერილობის ფრინველის თაობაზე შეტყობინებას წელიწადში დაახლოებით სამჯერ მაინც იღებენ.

### ნიანგისა და სპილოს ორთაბრძოლა ორივეს დაღუპვით დასრულდა



ზამბიაში აფრიკული სპილოსა და ნილოსის ნიანგის ორთაბრძოლის შედეგის დაფიქსირება მოხერხდა.

ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია მკვდარი სპილო, რომელიც მკვდარ ნიანგს აწევს ზევიდან, ფეისბუქში ერთ-ერთი ადგილობრივი კომპანიის გვერდზე გამოქვეყნდა. სხვა ფოტოსურათზე კი ჩანს, როგორ ეხვევიან მკვდარ ცხოველებს გარშემო მძორის მჭამელები.

არატიპურ პოზაში მყოფი გარეული ცხოველების გვამები სამხრეთ ლუანგვას ეროვნული პარკის საფარი-გიდმა ენდრიუ მვანზამ აღმოაჩინა. მას ახლდა რამდენიმე დამთვალიერებელი და ველური ბუნებისა და ეროვნული პარკების დეპარტამენტის შეიარაღებული წარმომადგენელი.

მათ ცხოველების გვამები დაათვალიერეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ორივე ახალგაზრდა ცხოველი იყო. მათ ივარაუდეს, რომ სპილო და ნიანგი ერთმანეთთან ბრძოლის დროს დაიღუპნენ, ვინაიდან ტყვიის ან სხვა რამე ჭურვის კვალი არც ერთს არ აღენიშნებოდა.

ეროვნული პარკის წარმომადგენლის თქმით, ნილოსის ნიანგები ხშირად ნადირობენ სპილოებზე, როდესაც ისინი მდინარეზე გადადიან ან იქ დასარწყულებლად მიდიან. ვინაიდან ნიანგები სიგრძეში ექვს მეტრამდე იზრდებიან, წონაში 750 კილოგრამს აღწევენ, ხოლო მოზრდილი აფრიკული სპილო 2,2-დან 6,3 ტონამდე იწონის, რეპტილიები ძირითადად თავს სპლიყვებს ან ავადმყოფ სპილოებს ესხმიან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

### ბლოგერმა სამეფო ოჯახის თვითმფრინავის მდიდრული სალონი გვაჩვენა



ავიაბლოგერი სემ ჩუი კანადის ქალაქ ჰამილტონიდან აშშ-ის ქალაქ მარანიში ყატარის სამეფო ოჯახის კუთვნილი კერძო ბოინგ 747-სპ თვითმფრინავით ჩაფრინდა, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იუთუბიზე ჩიუს არხზე ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეო ჯერ კიდევ 12 სექტემბერს გამოქვეყნდა, თუმცა მან მედიის ყურადღება მხოლოდ ახლახან მიიპყრო.

თვითმფრინავის სალონში არის რამდენიმე ოთახი: საძინებელი ელექტრომართვადი ორადგილიანი საწოლით, სასტუმრო ოთახი ხავერდგადაკრული სავარძლებით, სასადილო გრძელი ხის მაგიდით, ტუალეტის ოთახი ოქროს ნიჟარით, კაბინეტი, ასევე ეკონომკლასის სალონი მოსამსახურისთვის.

ჩუის თქმით, ავიალაინერით ფრენა ახდენილ ოცნებად იქცა.

– მე მიყვარს ბოინგ 747-I, მე მიყვარს ფუფუნება, მიყვარს მდიდრულად მგზავრობა, მიყვარს ავიაცია და ამიტომ ჩემთვის იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს, ვიდრე ბოინგ 747-სპ-თი მგზავრობა, – განაცხადა ბლოგერმა ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში. მან ასევე აღნიშნა, რომ ავიალაინერს სამი ადამიანი მართავს.

თვითმფრინავის ფასი 178 მილიონ ევროს შეადგენს. ის 1979 წელს ავიაკომპანია პან ამ-ის შეკვეთით დაამზადეს და თავდაპირველად ტრანსატლანტიკურ რეისებში მუშაობდა. შემდეგ თვითმფრინავი ავიაკომპანია იუნაიტედ ეირლეინსმა შეიძინა.

1995 წელს ის ყატარის სამეფო ოჯახმა გამოისყიდა, რომელიც შემდეგ მისივე შეკვეთით 2004 წელს გადაკეთდა. 2018 წლის აგვისტოში გავრცელდა განცხადება, რომ ავიალაინერი გასაყიდადაა გამოტანილი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ეთერ ლიპარტელიანი: „ოლიმპიური ჩემპიონობა მინდა“

ეთერ ლიპარტელიანი პირველი ქართველი ქალია, რომელიც ნებისმიერი ასაკის ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

20 წლის ძიუდოისტი სექტემბერში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა, ეთერის მომავალი მიზანი კი 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა და სამომავლოდ ოლიმპიადის ოქროს მოგებაც გახლავთ.



სწორედ ამ თემაზე ისაუბრა ქართველმა ძიუდოისტმა ინტერვიუში, რომელიც ძიუდოს ევროპული ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— გილოცავთ, თქვენ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მსოფლიოს პირველობაც მოიგეთ. როგორი შეგრძნებაა?***

— ძალიან გამიხარდა და ამაყიც ვარ. ამ წარმატებას ველოდი. გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა, რადგანაც ეს ტურნირი 2020 წლის ოლიმპიადისთვის სალიცენზიო ქულებს იძლეოდა და ამ მხრივ წინ წავიწიე.

***— ისე გამოვიდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგეთ და მხოლოდ ნახევარფინალში გაგიჭირდათ, სადაც ვაზარით ჩამორჩით. იქნებ სამხრეთკორეელ ჰუჰთან ორთაბრძოლაზე დამატებით გვითხრათ.***

— კორეელებს გამორჩეულად რთული სტილი აქვთ და ამიტომაც ცოტა ვფრთხილობდი. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მეტოქეს ვაჯობებდი და ასეც მოხდა.

***— იაპონელ ძიუდოისტთან ფინალი როგორ წარიმართა და რა განიცადეთ, როდესაც ოქროს მედალი მოიპოვეთ?***

— რა თქმა უნდა, ჩემთვის გამორჩეული რამ მოხდა. როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატს იგებ და თანაც გადამწყვეტ შეხვედრაში იაპონელს ამარცხებ, ძალიან სასიხარულოა.

***— თქვენს არსენალში ილეთს, რომელსაც „ხაბარელის ილეთს“ უწოდებენ, დიდი ადგილი უკავია. ეს საიდან მოდის?***

— ეს ილეთი, როდესაც მეტოქეს ზურგს უკან აგდებ, ბავშვობიდან ძალიან მომწონდა, თუმცა, ის, ამავდროულად, რთული შესასრულებელიცაა. აღნიშნულზე ბევრი ვიმუშავე, ბოლოს გამომივიდა კიდეც და ახლა, უფრო ხშირად ვიყენებ.

***— მსოფლიო რეიტინგში უკვე მოწინავე 50-ეულში იმყოფებით. მომავალ ოლიმპიადაზე მოხვედრის იმედი თუ გაქვთ?***

— ცხადია, ამაზე ვფიქრობ და ოლიმპიურ თამაშების საგზურის მოპოვებას ყველანაირად ვეცდები. მართალი გითხრათ, ძიუდოზე სიარული იმისთვის დავიწყე, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გავმხდარიყავი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ამ მიზნისკენ მივდივართ. დიდებში მხოლოდ რამდენიმე გრან პრიზე მოვსინჯე ძალები, ახლა კი უფრო ხშირად ვიასპარეზებ და ოლიმპიური ლიცენზიისთვის ვიბრძოლებ.

## ფერგიუსონს კორუფციაში ადანაშაულებენ

საფეხბურთო აგენტმა ჯუზეპე პალიარამ მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი გარიგებული მატჩების ორგანიზებასა და ტრანსფერებიდან ფულის აღებაში დაადანაშაულა.

იტალიაში სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც ჯუზეპემ ნაფიც მსაჯულებს ფარულ ჟურნალისტთან საუბრის შესახებ უამბო და აღნიშნა, რომ ფერგიუსონი მუშაობდა აგენტებთან, რათა ტრანსფერებიდან ფული გამოემუშავებინა.

პალიარამ ასევე აღნიშნა, რომ ერთხელ ფერგიუსონმა მისი თხოვნით ჩემპიონთა ლიგაზე იუნაიტედისა და იუვენტუსის მატჩში საჭირო შედეგის მიღებისთვის იზრუნა, რისთვისაც შოტლანდიელს 30.000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების როლექსის საათი აჩუქა.

ჯუზეპემ ისიც დასძინა ჩვენებაში, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ფერგიუსონმა მისგან გარიგებული მატჩის სანაცვლოდ საჩუქარი მიიღო.

## ბაიერნს ერიქსენი არ აინტერესებს



გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ლეგენდარული ლოთარ მათეუსი, ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში კრისტიან ერიქსენის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას აფიქსირებს.

მათეუსის განცხადებით, ბაიერნის მხრიდან მსგავსი აქტივობა მოსალოდნელი არ არის და ამის მიზეზებსაც განმარტავს.

ლოთარ მათეუსი:

— ერიქსენს დიდი ხანია ვაკვირდები, მიმდინარე წელს კი იმედი გამიცრუა. ერიქსენის ტრანსფერი მიუნხენური კლუბის რიგებში ყოველგვარ აზრს მოკლებულია. თუ ასეთი ფაქტი მაინც მოხდება, ეს ჩემთვის ნამდვილი სიურპრიზი იქნება.

ჩემი აზრით, კრისტიანი ვერ დაეხმარება ბაიერნს. თუ ეს ფეხბურთელი არასაკმარისად კარგია ტოტენჰემისთვის, მაშინ იგი ცალსახად არასაკმარისად კარგი იქნება ჩვენთვისაც. გარდა ამისა, იგი არ გამოირჩევა სისწრაფით, ნიკო კოვაჩი კი აქცენტს სწრაფ მოთამაშეებზე აკეთებს.

შეგახსენებთ, კრისტიან ერიქსენის კონტრაქტს საფეხბურთო კლუბ ტოტენჰემთან 1 წელიწადში ვადა ეწურება, შესაბამისად, ფეხბურთელის მიმართ დაინტერესებას მრავალი კლუბი იჩენს. მათ შორის არიან ტურინის იუვენტუსი, მადრიდის რეალი და მანჩესტერ იუნაიტედი.

# შედეგები

## 10 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

მაროკო-ალჟირი ............ 3:0
რუანდა-ეთიოპია ............ 1:1
უგანდა-ბურუნდი ............ 3:0
ზამბია-ესვატინი ............ 2:2

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ვესტ ჰემი ............ 2:0
ასტონ ვილა-ბრაიტონი ............ 2:1
ბორნმუთი-ნორვიჩი ............ 0:0
ვულვზი-საუთჰემპტონი ............ 1:1
ლესტერი-ბარნლი ............ 2:1
ტოტენჰემი-უოტფორდი ............ 1:1
ჩელსი-ნიუკასლი ............ 1:0
კრ.პალასი-სიტი ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 8 | 8 | 0 | 0 | 20-6 | 24 |
| 2.სიტი | 9 | 6 | 1 | 2 | 29-9 | 19 |
| 3.ლესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-8 | 17 |
| 4.ჩელსი | 9 | 5 | 2 | 2 | 19-14 | 17 |
| 5.არსენალი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-11 | 15 |
| 6.კრ.პალასი | 9 | 4 | 2 | 3 | 8-10 | 14 |
| 7.ტოტენჰემი | 9 | 3 | 3 | 3 | 15-13 | 12 |
| 8.ბარნლი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-11 | 12 |
| 9.ბორნმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-13 | 12 |
| 10.ვესტ ჰემი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-13 | 12 |
| 11.ასტონ ვილა | 9 | 3 | 2 | 4 | 15-13 | 11 |
| 12.ვულვზი | 9 | 2 | 5 | 2 | 12-12 | 11 |
| 13.ევერტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-13 | 10 |
| 14.მანჩესტერი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-8 | 9 |
| 15.შეფილდი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-7 | 9 |
| 16.ბრაიტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| 17.საუთჰემპტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-16 | 8 |
| 18.ნიუკასლი | 9 | 2 | 2 | 5 | 5-14 | 8 |
| 19.ნორვიჩი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-21 | 7 |
| 20.უოტფორდი | 9 | 0 | 4 | 5 | 5-21 | 4 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექბერნი-ჰადერსფილდი ............ 2:2
ბარნსლი-სუონსი ............ 1:1
ბრენტფორდი-მილუოლი ............ 3:2
ლიდსი-ბირმინგემი ............ 1:0
ლუთონი-ბრისტოლი ............ 3:0
მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი ............ 0:1
რედინგი-პრესტონი ............ 1:0
სტოკი-ფულემი ............ 2:0
ჰალი-ქპრ ............ 2:3
ჩარლტონი-დერბი ............ 3:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ბაიერნი ............ 2:2
ვერდერი-ჰერტა ............ 1:1
ლაიფციგი-ვოლფსბურგი ............ 1:1
უნიონი-ფრაიბურგი ............ 2:0
ფორტუნა-მაინცი ............ 1:0
დორტმუნდი-გლადბახი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-7 | 16 |
| 2.ვოლფსბურგი | 8 | 4 | 4 | 0 | 11-5 | 16 |
| 3.ბაიერნი | 8 | 4 | 3 | 1 | 22-10 | 15 |
| 4.დორტმუნდი | 8 | 4 | 3 | 1 | 20-11 | 15 |
| 5.ლაიფციგი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-8 | 15 |
| 6.შალკე | 7 | 4 | 2 | 1 | 14-7 | 14 |
| 7.ფრაიბურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 8.აინტრახტი | 8 | 4 | 2 | 2 | 14-10 | 14 |
| 9.ლევერკუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-11 | 14 |
| 10.ჰერტა | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 11.ვერდერი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-17 | 9 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| 13.ფორტუნა | 8 | 2 | 1 | 5 | 10-14 | 7 |
| 14.უნიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 15.აუგსბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-21 | 6 |
| 16.მაინცი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-18 | 6 |
| 17.კიოლნი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-16 | 4 |
| 18.პადერბორნი | 7 | 0 | 1 | 6 | 9-19 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვისბადენი-ჰაიდენჰაიმი ............ 0:0
ზ.პაული-დარმშტადი ............ 0:1
რეგენსბურგი-ზანდჰაუზენი ............ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-ბარსელონა ............ 0:3
ატლეტიკო-ვალენსია ............ 1:1
ხეტაფე-ლეგანესი ............ 2:0
მალიორკა-რეალი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 6 | 1 | 2 | 23-10 | 19 |
| 2.რეალი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-9 | 18 |
| 3.გრანადა | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 17 |
| 4.ატლეტიკო | 9 | 4 | 4 | 1 | 8-5 | 16 |
| 5.ხეტაფე | 9 | 3 | 4 | 2 | 14-12 | 13 |
| 6.სევილია | 8 | 4 | 1 | 3 | 10-11 | 13 |
| 7.ვალენსია | 9 | 3 | 4 | 2 | 13-13 | 13 |
| 8.სოსიედადი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-9 | 13 |
| 9.ბილბაო | 8 | 3 | 3 | 2 | 7-4 | 12 |
| 10.ოსასუნა | 9 | 2 | 5 | 2 | 7-8 | 11 |
| 11.ლევანტე | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 11 |
| 12.ალავესი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-9 | 11 |
| 13.ვილიარეალი | 8 | 3 | 2 | 3 | 19-13 | 11 |
| 14.ვალიადოლიდი | 8 | 2 | 4 | 2 | 7-8 | 10 |
| 15.მალიორკა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-12 | 10 |
| 16.ეიბარი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-13 | 9 |
| 17.ბეტისი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-16 | 9 |
| 18.სელტა | 9 | 2 | 3 | 4 | 5-11 | 9 |
| 19.ესპანიოლი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-14 | 5 |
| 20.ლეგანესი | 9 | 0 | 2 | 7 | 4-14 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ალმერია ............ 2:2
პონფერადინა-ნუმანსია ............ 1:1
ლუგო-უესკა ............ 3:2
ელჩე-ხიხონი ............ 0:1
ესტრემადურა-რაიო ............ 0:3

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ატალანტა ............ 3:3
ნაპოლი-ვერონა ............ 2:0
იუვენტუსი-ბოლონია ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 7 | 1 | 0 | 15-7 | 22 |
| 2.ინტერი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-7 | 21 |
| 3.ატალანტა | 8 | 5 | 2 | 1 | 21-13 | 17 |
| 4.ნაპოლი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-10 | 16 |
| 5.ლაციო | 8 | 3 | 3 | 2 | 16-9 | 12 |
| 6.რომა | 7 | 3 | 3 | 1 | 12-10 | 12 |
| 7.კალიარი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| 8.ფიორენტინა | 7 | 3 | 2 | 2 | 12-10 | 11 |
| 9.ტორინო | 7 | 3 | 1 | 3 | 10-10 | 10 |
| 10.მილანი | 7 | 3 | 0 | 4 | 6-9 | 9 |
| 11.ბოლონია | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 12.ვერონა | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 13.პარმა | 7 | 3 | 0 | 4 | 8-10 | 9 |
| 14.უდინეზე | 7 | 2 | 1 | 4 | 3-6 | 7 |
| 15.სასუოლო | 7 | 2 | 0 | 5 | 14-16 | 6 |
| 16.ლეჩე | 7 | 2 | 0 | 5 | 7-15 | 6 |
| 17.ბრეშა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-9 | 6 |
| 18.სპალი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-13 | 6 |
| 19.ჯენოა | 7 | 1 | 2 | 4 | 8-15 | 5 |
| 20.სამპდორია | 7 | 1 | 0 | 6 | 4-16 | 3 |

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-სალერნიტანა ............ 1:0
ვირტუსი-ტრაპანი ............ 1:1
პესკარა-სპეცია ............ 1:2
იუვე სტაბია-პორდენონე ............ 4:2
ბენევენტო-პერუჯა ............ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-დიჟონი ............ 0:0
ანჟე-ბრესტი ............ 0:1
მეცი-ნანტი ............ 1:0
ნიმი-ამიენი ............ 1:1
რეიმსი-მონპელიე ............ 1:0
ტულუზა-ლილი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 8 | 0 | 2 | 21-5 | 24 |
| 2.ნანტი | 10 | 6 | 1 | 3 | 9-6 | 19 |
| 3.რეიმსი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-4 | 17 |
| 4.ანჟე | 10 | 5 | 1 | 4 | 16-16 | 16 |
| 5.ბორდო | 9 | 4 | 3 | 2 | 15-10 | 15 |
| 6.ლილი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| 7.მონპელიე | 10 | 4 | 2 | 4 | 9-8 | 14 |
| 8.ბრესტი | 10 | 3 | 5 | 2 | 11-13 | 14 |
| 9.მარსელი | 9 | 3 | 4 | 2 | 10-11 | 13 |
| 10.ნიცა | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 11.რენი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-7 | 12 |
| 12.ამიენი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-15 | 12 |
| 13.ტულუზა | 10 | 3 | 3 | 4 | 11-16 | 12 |
| 14.მეცი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-14 | 11 |
| 15.სტ.ეტიენი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-13 | 11 |
| 16.ლიონი | 10 | 2 | 4 | 4 | 14-9 | 10 |
| 17.ნიმი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-12 | 10 |
| 18.მონაკო | 9 | 2 | 3 | 4 | 15-19 | 9 |
| 19.სტრასბური | 9 | 2 | 3 | 4 | 6-10 | 9 |
| 20.დიჟონი | 10 | 2 | 3 | 5 | 5-10 | 9 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლორიანი ............ 2:2

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ალკმაარი-ჰერენვენი ............ 2:4
ვალვაიკი-აიაქსი ............ 1:2
ტვენტე-ტილბურგი ............ 0:1
ვენლო-ვიტესი ............ 0:4
უტრეხტი-პსვ ............ 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტამბოვი-ურალი ............ 1:2
სპარტაკი-რუბინი ............ 0:0
ზენიტი-როსტოვი ............ 6:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ............ 3:1
იანგ ბოიზი-ქსსამაქსი ............ 4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-ჰიბერნიანი ............ 1:1
კილმანროკი-ლივინგსტონი ............ 2:1
მოზერველი-აბერდინი ............ 0:3
სელტიკი-როსი ............ 6:0
სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი ............ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-მატერსბურგი ............ 7:2
ალტახი-ადმირა ............ 1:4
შტურმი-ზალცბურგი ............ 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-გენტი ............ 1:0
კორტრაიკი-ვარეგემი ............ 2:0
ოსტენდე-ეუპენი ............ 2:3
გენტი-ბევერენი ............ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ოფი ............ 2:1
პანეთოლიკოსი-ლარისა ............ 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-გენჩლერი ............ 0:6
ბაშაქშეჰირი-გიოზთეფე ............ 2:1
ტრაბზონი-გაზიანთები ............ 4:1
ანკარაგიუჯიუ-ბეშიქთაში ............ 0:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-იაბლონეცი ............ 2:2
ზლინი-ბოლესლავი ............ 0:2
სიგმა-ჩესკე ............ 1:3
სლავია-პრჟიბრჟამი ............ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-პლოცკი ............ 0:1
ლეგია-ლეხი ............ 2:1
იაგელონია-კრაკოვია ............ 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-ლვოვი ............ 0:0
ზორია-დესნა ............ 2:1
ჰელსინბორგი-ჰეკენი ............ 0:2
ესტერსტუნდი-სირიუსი ............ 2:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-რუსენბორგი ............ 2:2
ვალერენგა-სტაბეკი ............ 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1974 წლის ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობის კურსდამთავრებულები დიდი მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელ

**ტარიელ გელანტიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# სკანვორდი



1. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 2. ... რიჩი; 3. სისწრაფე; 4. თხრობითი გაულექსავი ლიტერატურა; 5. საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 6. ... ანდერსენ ნექსე; 7. პიტალო კლდე; 8. სოფელი ლენხუმში; 9. იუპიტერი ძველქართულად; 10. მდინარე ევროპაში; 11. ბელორუსის დედაქალაქი; 12. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 13. ტვირთის სათავსი ადგილი გემზე; 14. ულირსი მშობლის ფულადი სასჯელი; 15. წონის ერთეული; 16. იგივეა, რაც მოჩვენება; 17. ბერნარ ... (ფრანგი ქართველოლოგი); 18. მდინარე გურიაში; 19. იალქანი; 20. დროის მონაკვეთი კრივში; 21. ზაფხულის თვე; 22. მარტივი ცილა; 23. ქართული ვოკალური კვარტეტი; 24. ასო „ფ“-ს სახელწოდება; 25. მზის სისტემის პლანეტა; 26. დამხმარე თეორემა; 27. ქალბატონი (ინგლისურად); 28. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 29. ფრანგული ჯიშის ცხვარი; 30. „... დამაცადე!“; 31. ქალის სამოსელი; 32. სანელებელი; 33. ლამების გვარის სამხრეთამერიკული ცხოველი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქიმერა; 2. ფიტი; 3. ლაფონტენი; 4. მარკა; 5. ნეოლითი; 8. ბულონი; 9. მაკნატუნა; 12. ლეჟავა; 14. იანუსი; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. მაკბეტი; 9. მირონი; 10. ჯანი; 11. მოზაიკა; 13. ბრიხი; 15. ტეკილა; 17. ჰილტონი; 18. კარტიე; 19. ტვისტი; 20. პირანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ორიგამი; 2. დეპარდიე; 3. მზეჭაბუკი; 4. მორთული; 5. ნიშნიანიძე; 10. ბედეგი; 11. სერფინგი; 12. ექოლოტი; 13. დიონისე; 16. საკრებულო; 17. ქობულეთი; 19. ალბანეთი; 21. ვიშნუ; 23. რიალი.

**თარაზულად:** 6. ბრუცელუოზი; 7. როლექსი; 8. ჯაფარა; 9. მანიკური; 14. რისლინგი; 15. შიომღვიმე; 18. მაგმა; 20. კორსიკა; 22. ვერმუტი; 24. სინხუა; 25. სალათი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 ოქტომბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.9718

ევრო — 3.3088

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8345

100 რუსული რუბლი — 4.6461

**ამინდის პროგნოზი 21 ოქტომბერი**








## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

**ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი**

## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ბაზალეთისა ტბის ძირას**

წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**





## ექსკურსიაზე მყოფ ქალს გზა აებნა და სამი დღე ტყეში გაატარა



უგზო-უკვლოდ დაკარგული ავსტრალიის ქალაქ ადელაიდას მცხოვრები ქალის გადარჩენა სიგნალ SOS-ის წყალობით მოხერხდა, რომელიც მან გზაზე დატოვა.

44 წლის ავსტრალიელი დებორა პილიგრიმი ტყეში მეგობრებთან ერთად ექსკურსიის დროს დაიკარგა. ქალმა გზაზე სიგნალ SOS-ის დატოვება მოახერხა იმის იმედით, რომ მას ძებნას დაუწყებდნენ. პილიგრიმის თქმით, ის ყველა ადგილას, სადაც კი გაივლიდა, ნიშნებს ტოვებდა, მაგალითად, სავიზიტო ბარათებს.

ქალის მიერ გზაზე დატოვებული SOS-ის სიგნალი მალე ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა შენიშნა. ის წარწერას იმ დროს გადააწყდა, როდესაც სათვალთვალო კამერის ჩანაწერს ამოწმებდა. მან იცოდა, რომ იმ არემარეში ქალი დაიკარგა და გადაწყვიტა შეემოწმებინა, ის ვიდეოკამერამ ხომ არ დააფიქსირა.

– გასულ ღამეს მან შენიშნა, რომ მისი სახლის ახლოს გამავალ გზაზე დაწერილი იყო SOS. ადრე იმ ადგილზე ასეთი წარწერა არ ყოფილა. მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ პოლიციას აცნობა და სამძებრო-სამაშველო ოპერაცია განახლდა, – ნათქვამია ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლის განცხადებაში.

პილიგრიმი იმავე დღეს, შუაღამისას, მეზობლად მდებარე სახლში იპოვეს, სადაც მან სასმელ წყალს მიაგნო.

ქალის თქმით, ის მეგობრების ჯგუფს გასასეირნებლად დაშორდა, მაგრამ მალე შენიშნა, რომ უცნობ ადგილას აღმოჩნდა. დღისით ტყეში დაბოდიალობდა, ხოლო ღამეს მიტოვებულ სახლებში ათევდა. მისი თქმით, იმედი, რომ ვინმე იპოვიდა, უკვე დაკარგული ჰქონდა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლის განცხადების თანახმად, ქალი გამოკვლევაზე საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 21 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **კურო** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ტყუპები** – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მცირე პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა, ალბათ, უფრო – პატარა გაციება. ყურადღება მიაქციეთ კვებას. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ლომი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **ქალწული** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **სასწორი** – კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **მშვილდოსანი** – **ღრიანკალი** – კარგი დღეა ძველი კავშირების აღსადგენად. გაწონასწორებული და მშვიდი ხართ. გრძელვადიან გეგმებს ნუ დააწყობთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, ყველაზე სარისკოც კი. წარმატებას მოგიტანთ სამოგზაუროდ წასვლა და ახალი ნაცნობობა. **თხის რქა** – იმედი გაგიცრუვდებათ. მოლოდინი ამაოა. იყავით თვითკრიტიკული. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – სამსახურში. კეთილისმყოფელი დღეა ახლობელთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. **თევზები** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით და ნახავთ, რომ არ ინანებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი პროფესორი პარკში სკამზე ზის და საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მაინც რა უცნაური ქმნილებაა ადამიანი.

– ასე რატომ ფიქრობ, კოლეგა?

– საკმარისია, რომელიმე მათგანს უთხრა, რომ ცაზე 9567432876932176978 ვარსკვლავია, დაიჯერებს და მის შემოწმებას არც კი შეეცდება, მაგრამ, საკმარისია, სკამზე დაწერო: „ფრთხილად! შეღებილია!“ რომ აუცილებლად თითს დაადებს და შეამოწმებს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ხვალ მუსიკალური ფესტივალი იმართება სახელწოდებით „მუსიკა ნარკოტიკების წინააღმდეგ!“

– ჰო, ეგ იგივეა, „ფუტკრები თაფლის წინააღმდეგ“.

•••

საბავშვო ბაღის მასწავლებელი ბავშვის მამას ეკითხება:

– უკაცრავად, რომელია თქვენი შვილი?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ ისევ აქ არ უნდა მოვიყვანო?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შენი ძაღლი იკბინება?

– შემოდი, შემოდი, ეგ მეც მაინტერესებს, ახალი მოყვანილი მყავს.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენს ქმარს რით ათამამებ?

– ზოგჯერ ჩუმად ვარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დიტო ცინცაძის ფილმმა „შინდისმა“ ვარშავაში გრანპრი მოიგო




საქართველოს მიერ „ოსკარზე“ წარდგენილმა ფილმმა „შინდისმა“ ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრანპრი მოიგო, ფილმის რეჟისორი დიტო ცინცაძე კი საუკეთესო რეჟისორის პრიზით დაჯილდოვდა.

ინფორმაცია ფილმის პროდიუსერმა ედმონდ აბაშიძე-მინაშვილმა გაავრცელა:

– „შინდისი“ ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი გრანპრის მფლობელია, როგორც საუკეთესო ფილმი, დიტო ცინცაძე კი საუკეთესო რეჟისორის პრიზით დაჯილდოვდა

ვულოცავ ჩვენს შემოქმედებით ჯგუფსა და სრულიად საქართველოს ამ უდიდეს გამარჯვებას!

## რეზო გაბრიაძის მოთხრობებით გადაღებული ანიმაცია ოსკარზე წარადგინეს



ცნობილი ქართველი რეჟისორის, მწერლისა და მხატვრის რეზო გაბრიაძის მოთხრობების მიხედვით გადაღებული ლევან გაბრიაძის ფილმი ოსკარზე წარადგინეს.

ანიმაციური ფილმი სახელწოდებით „რეზო“, რომლის თარგმანიც ორიგინალში ასე ჟღერს – „იცი, დედა, სად ვიყავი?“ „საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის“ კატეგორიაში მონაწილეობს.

ინფორმაცია თამრო ოქრუაშვილმა გაავრცელა:

– ლეგენდარული ქართველი მწერლის, რეჟისორ რეზო გაბრიაძის მოთხრობების მიხედვით გადაღებული ანიმაციური ფილმი წარდგენილია ოსკარზე.

მულტფილმი წარდგენილია კატეგორიაში: „საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი“ სახელწოდებით „რეზო“, თუმცა ორიგინალში მისი სახელია „იცი, დედა, სად ვიყავი?“

სულ ამ კატეგორიაში 32 ფილმია წარდგენილი. მოკლე ნუსხა გამოცხადდება 13 იანვარს, ხოლო თავად ოსკარის გადაცემის ცერემონიალი 9 თებერვალს გაიმართება.

## ქუთაისში მოსკოვის თეატრის დასის ჩასვლა გააპროტესტეს



ქუთაისში ლადო მესხიშვილის თეატრში მოსკოვის თეატრის დასის ჩასვლა გააპროტესტეს.

მესხიშვილის თეატრის მცირე სცენაზე მოსკოვის თეატრს „ნიკიტკის კარიბჭესთან“ სპექტაკლი „კესანე“ უნდა წარმოედგინა. თეატრთან შეიკრიბნენ ის ადამიანები, რომლებისთვისაც ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოში მცოცავი ანექსიის ფონზე მოსკოვის თეატრის სპექტაკლის ქუთაისში დადგმა.

სპექტაკლის რეჟისორმა მარკ როზოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით სირცხვილს გრძნობს.

ქუთაისელებმა უარი განაცხადეს სპექტაკლზე დასწრებაზე, მესხიშვილის თეატრის წარმომადგენლებმა კი მოსკოვის თეატრის ქუთაისში ჩასვლა გააპროტესტეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სელაპი თავის გადამრჩენელ მამაკაცს თავს დაესახა



ნამიბიის ქალაქ უოლფიშ-ბეიში სელაპი საკუთარ გადამრჩენელს თავს დაესხა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ნაუდ დრაიერი სელაპებს ათვალიერებდა და ერთ-ერთ მათგანს კისერზე რეზინის რგოლი ჰქონდა ჩამოცმული. კადრებში ჩანს, თუ როგორ გარბის ოკეანისკენ ათეულობით ცხოველი. ნაუდი იჭერს იმ სელაპს, რომელსაც კისერზე რეზინის რგოლი აქვს წამოცმული და მას ფეხებს შორის იქცევს. როდესაც ის სამაშველო ოპერაციას ასრულებდა, ცხოველი გადამრჩენელს მიუტრიალდა და შეეცადა, საზარდულზე ეკბინა.

დრაიერი ინსტინქტურად გვერდით გადახტა და სერიოზული დაზიანებები თავიდან აიცილა. სელაპმა მას თეძოს შიდა მხარეს უკბინა.

– კინაღამ უფასო სტერილიზაცია გამიკეთდა, – იხუმრა მამაკაცმა. იგი აცრეს. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

## ძუნწმა უფროსმა ხელფასის მთხოვნელ ელექტრიკოსს ლომი მიუქსია



პაკისტანის პროვინცია პენჯაბში უფროსმა მოშინაურებული ლომი ელექტრიკოსს იმ დროს მიუქსია, როდესაც ის მისთვის ხელფასის გადახდას ითხოვდა.

ელექტრიკოსი მოჰამად რაფიკი მუსალის ზედამხედველმა ალი რაზამ დაიქირავა. მამაკაცმა სამუშაო დაასრულა და ანაზღაურება მოითხოვა, მაგრამ უფროსი შეჰპირდა, რომ ფულს მოგვიანებით მისცემდა და ხელფასის გადახდას დიდი ხნის განმავლობაში წელავდა.

რაფიკი ისევ მივიდა უფროსთან და კუთვნილი თანხა მოითხოვა. ამ ჯერზე რაზამ ელექტრიკოსს მოშინაურებული ლომი მიუქსია. ცხოველი მამაკაცს თავს დაესხა და სახესა და ხელზე იარები მიაყენა. ყვირილმა, რომლითაც რაფიკი შველას ითხოვდა, გამვლელების ყურადღება მიიპყრო, რომლებიც მის დახმარებას შეეცადნენ.

თავდაპირველად ელექტრიკოსმა პოლიციას არ მიმართა, ვინაიდან რაზა შეჰპირდა, რომ მისი მკურნალობის ხარჯებს სრულად აანაზღაურებდა, თუმცა შემდეგ ლომის პატრონმა შეპირებული კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა. მომხდარიდან ერთი თვის შემდეგ რაფიკმა დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართა.

ალი რაზას წინააღმდეგ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ამერიკული მუსიკალური ჟანრი; 7. სიძნელეებთან მარჯვედ შეგუება; 8. საჭადრაკო ამოცანა; 10. ბედიღბალი; 11. თანხმობა, ერთსულოვნება; 13. სატელევიზიო გადამცემი მილაკი; 16. დასამტკიცებელი დებულება ლოგიკაში; 19. შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 20. კბილის ექიმი (მოძვ.);

**შვეულად:** 1. სახუმარო ოპერა ნასესხები მუსიკით; 2. მუზეუმი მადრიდში; 3. ბანქოს გაშლა გარკვეული წესით; 4. პირველობა, უპირატესი მდგომარეობა; 5. სანადირო ძაღლის ჯიში; 9. იაპონური ავტომარკა; 12. თიხა-კირქვისგან შემდგარი ნალექი ქანი; 14. აუხდენელი ოცნება; 15. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 17. ნაღველი, კაეშანი; 18. ... მაკდაუელი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

